



აშშ-ის უზენაესი სასამართლო

საქმე „ჭურტადო კალიფორნიის წინააღმდეგ“, 110 U.S. 516 (1884)

ჭურტადო კალიფორნიის წინააღმდეგ

არგუმენტირებულია 1884 წლის 22 და 23 იანვარს

გადაწყვეტილება გამოტანილია 1884 წლის 3 მარტს

110 U.S. 516

სააპელაციო საჩივარი კალიფორნიის უზენაეს სასამართლოში

გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი

1. სიტყვები „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა“, რომლებიც შეერთებული შტატების კონსტიტუციის მე-14 შესწორებაშია მოცემული, აუცილებლად არ მოითხოვს დიდი უიურის საბრალდებო დასკვნას იმ შემთხვევაში, როდესაც შტატი სისხლისსამართლებრივ დევნას მკვლელობის საქმეზე ახორციელებს.

2. კალიფორნიის კონსტიტუცია ითვალისწინებს მძიმე დანაშაულისთვის სისხლის-სამართლებრივი დევნის შესაძლებლობას სასამართლოში შეტანილი საჩივრის საფუძველზე, მაგისტრატის მიერ საქმის განხილვისა და პატიმრობის შეფარდების შემდეგ, დიდი უიურის საბრალდებო დასკვნის გარეშე და საკანონმდებლო ორგანოს შეხედულებისამებრ. შტატის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს მაგისტრატის მიერ დაკითხვას ბრალდებულის თანდასწრებით, რომელსაც უფლება აქვს, მოითხოვოს ადვოკატის დახმარება და ისარგებლოს მოწმეთა ჯვარედინი დაკითხვის უფლებით, რომელთა ჩვენებაც უნდა ჩაინეროს წერილობით და მაგისტრატის ცნობის საფუძველზე, რომ ჩადენილია აღწერილი დანაშაული და რომ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ბრალდებული დამნაშავეა, ხოლო ბრძანება მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ მოითხოვს ბრალდებულის წინააღმდეგ საჩივრის წარდგენას იმ ოლქის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, რომლის განსჯადიცაა ჩადენილი დანაშაული და რომელშიც მსგავს დანაშაულზე დიდ უიურის გამოაქვს საბრალდებო დასკვნა. სასამართლომ დაადგინა, რომ განსაკუთრებით მძიმე განზრახ მკვლელობასთან დაკავშირებით შეტანილი საჩივრის საფუძველზე პირის დამნაშავედ ცნობა და სიკვდილით დასჯა არ არის უკანონო აშშ-ის კონსტიტუციაში განხორციელებული მეთოთხმეტე შესწორების დებულების საფუძველზე, რომელიც შტატებს უკრძალავს ნებისმიერი პირის-

თვის სიცოცხლის წართმევას, თავისუფლების აღკვეთას ან ქონების ჩამორთმევას ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის უზრუნველყოფის გარეშე.

კალიფორნიის შტატის 1879 წელს მიღებული კონსტიტუციის 1-ელი მუხლის მე-8 პუნქტი ითვალისწინებს შემდეგს: „იმ დანაშაულების შემთხვევაში, რომლებისთვისაც პირის გასამართლება აქამდე დიდი უიურის საბრალდებო დასკვნის საფუძველზე ხდებოდა, სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდება სასამართლოში შეტანილი საჩივრის საფუძველზე, მაგისტრატის მიერ საქმის განხილვისა და პატიმრობის შეფარდების შემდეგ, ან დიდი უიურის საბრალდებო დასკვნის საფუძველზე, საქმის განხილვითა და პატიმრობის შეფარდებით ან მათ გარეშე, კანონის შესაბამისად. თითოეულ ოლქში დიდი უიურის ნაფიც მსაჯულებს ირჩევენ და იწვევენ, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ.“

სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა დებულება აწესრიგებს სამართალწარმოებას საქმის განხილველი მაგისტრატის წინაშე იმ დაკავებულ პირთა საქმეებზე, რომლებსაც მის წინაშე წარადგენენ საჯარო ხასიათის დანაშაულების ჩადენის ბრალდებით. დადგენილია, მათ შორის, რომ ჩვენებები მოწმეებს წერილობით უნდა ჩამოერთვათ ფიცით მიცემული ჩვენების სახით, ხოლო 872-ე მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვის შედეგად გაირკვევა, რომ ჩადენილია საჯარო ხასიათის დანაშაული და არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ბრალდებული დამნაშავეა, მაგისტრატმა ფიცით მიცემულ ჩვენებებს უნდა დაურთოს მის მიერ ხელმოწერილი ბრძანება, რომელშიც აღწერილი იქნება ჩადენილი დანაშაულის ზოგადი ხასიათი და რომელიც გასცემს ბრალდებულის პასუხისგებაში მიცემის ბრძანებას. სისხლის სამართლის კოდექსის 809-ე მუხლი ითვალისწინებს შემდეგს:

„იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული დაკითხეს და პატიმრობა შეუფარდეს ამ კოდექსის 872-ე მუხლის შესაბამისად, ოლქის პროკურორი ვალდებულია, ოცდაათი დღის ვადაში იმ ოლქის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში, რომლის განსჯადიცაა ჩადენილი დანაშაული, შეიტანოს საჩივარი ბრალდებულისთვის ბრალის წაყენების შესახებ. საჩივარი უნდა იქნეს შეტანილი კალიფორნიის შტატის ხალხის სახელით, იყოს ხელმოწერილი ოლქის პროკურორის მიერ და მსგავსი დანაშაულისთვის გათვალისწინებული დიდი უიურის საბრალდებო დასკვნის ფორმით.“

კონსტიტუციის ზემოაღნიშნული დებულებისა და კალიფორნიის სისხლის სამართლის კოდექსის რამდენიმე მუხლის შესაბამისად, საკრამენტოს ოლქის პროკურორმა 1882 წლის 20 თებერვალს მოამზადა და შეიტანა საჩივარი აპელანტის წინააღმდეგ, წაუყენა რა მას ბრალი ვინმე ხოსე ანტონიო სტუარდოს მკვლელობაში. აღნიშნული საჩივრის საფუძველზე, დიდი უიურის მიერ საქმის წინასწარი გამოძიების გარეშე, 1882 წლის 22 მარტს აპელანტს ბრალი წაუყენეს. იგი უდანაშაულოდ ცნეს. ამის შემდეგ ჩატარდა სამართლებრივი დავის საგნის განხილვა და 1882 წლის

7 მაისს უიურიმ გამოიტანა თავისი ვერდიქტი, რომლითაც აპელანტი განსაკუთრებით მძიმე განზრახ მკვლევლობაში ცნეს დამნაშავედ.

1882 წლის 5 ივნისს საკრამენტოს ოლქის ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ, სადაც განხილულ იქნა აპელანტის საქმე, აღნიშნული ვერდიქტის საფუძველზე გამოიტანა განაჩენი, რომ ხსენებული ჯოზეფ ჰურტადო, იგივე აპელანტი, დაისაჯოს სიკვდილით, ხოლო მისი სასჯელის აღსრულების დღედ 1882 წლის 20 ივლისი განისაზღვრა.

ეს განაჩენი გასაჩივრებულ იქნა კალიფორნიის შტატის უზენაეს სასამართლოში, რომელმაც იგი უცვლელი დატოვა.

1883 წლის 6 ივლისს საკრამენტოს ოლქის ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ ბრძანა, რომ აპელანტი 1884 წლის 11 ივლისს გამოცხადებულიყო სასამართლოში, რათა სასამართლოს აღნიშნულ საქმეზე განესაზღვრა განაჩენის აღსრულების დღე. აღნიშნული ბრძანების შესაბამისად, აპელანტი თავის ადვოკატთან ერთად გამოცხადდა სასამართლოში, რის შემდეგაც მოსამართლემ მას ჰკითხა, ჰქონდა თუ არა მას რაიმე სამართლებრივი საფუძველი, რომ მოეთხოვა აღნიშნული განაჩენის არაღსრულება, და რატომ არ უნდა გამოეცა მას ბრძანება, რომელიც განსაზღვრავდა განაჩენის აღსრულების დღეს.

ამის შემდეგ აპელანტმა, თავისი ადვოკატის მეშვეობით, გააპროტესტა აღნიშნული განაჩენის აღსრულება და ნებისმიერი ბრძანება, რომელიც სასამართლოს შეეძლო გამოეცა განაჩენის აღსრულების დღის განსაზღვრად, იმ საფუძველით:

„მე-7. განაჩენიდან ჩანდა, რომ დიდ უიურის აპელანტის მიმართ არც კანონიერად და არც სხვა რაიმე ფორმით არ გამოუცია საბრალდებო დასკვნა ან გაუკეთებია განცხადება და რომ მის წინააღმდეგ სამართალწარმოება განხორციელდა საკრამენტოს ოლქის პროკურორის მიერ მომზადებული და შეტანილი საჩივრის საფუძველზე, მაგისტრატის მიერ საქმის განხილვისა და პატიმრობის შეფარდების შემდეგ.

„მე-8. რომ აღნიშნული სამართალწარმოება, ისევე როგორც კალიფორნიის კანონები და კონსტიტუცია, რომლებიც ცდილობდნენ მის გამართლებას, ასევე უიურის სავარაუდო ვერდიქტი და საკრამენტოს ოლქის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს აღნიშნული განაჩენი, ეწინააღმდეგებოდა და აკრძალული იყო ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის შესწორების მეხუთე და მეოთხმეტე მუხლებით და, შესაბამისად, ისინი იყო ბათილი.“

„მე-9. რომ აპელანტი მკვლევლობისთვის მიეცა პასუხისგებაში საკრამენტოს ოლქის პროკურორის მიერ, მის მიერ შეტანილი საჩივრის საფუძველზე, და ის გაასამართლეს და აღნიშნული დანაშაულის ჩადენაში უკანონოდ ცნეს დამნაშავედ დიდი ან სხვა უიურის ფიცის დადებით გაკეთებული განცხადების ან გამოცემული საბ-

რალდებო დასკვნის გარეშე, და რომ ასეთ საქმეზე ჟიურის სავარაუდო ვერდიქტის საფუძველზე გამოტანილი განაჩენი იყო და არის ბათილი და მისი აღსრულების შემთხვევაში აპელანტს წაერთმეოდა სიცოცხლე ან თავისუფლება ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის უზრუნველყოფის გარეშე.“

სასამართლომ უარყო აღნიშნული პროტესტი და სასჯელის აღსრულების თარიღად 1883 წლის 30 აგვისტო განსაზღვრა. ეს ბოლო განაჩენი აპელანტმა შტატის უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრა.

1883 წლის 18 სექტემბერს უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა აღნიშნული განაჩენი, რომლის გადასასინჯად წარდგენილ იქნა წინამდებარე სააპელაციო საჩივარი.

მოსამართლე მეთიუსმა გამოაცხადა სასამართლოს დასკვნა. ზემოთ მოცემული ფორმულირებით ფაქტების ჩამოყალიბების შემდეგ მან განაცხაო:

პატიმრის სახელით ამტკიცებენ, რომ გამამტყუნებელი განაჩენი და სასჯელი ბათილია იმ საფუძველით, რომ ისინი ეწინააღმდეგება შეერთებული შტატების კონსტიტუციის შესწორების მეთოთხმეტე მუხლს, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

„ასევე არცერთ შტატს არ შეუძლია წაართვას პირს სიცოცხლე, აღუკვეთოს თავისუფლება ან ჩამოართვას ქონება ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის უზრუნველყოფის გარეშე.“

სამართლებრივი დებულება, რომლის დასადასტურებლადაც მოგვმართეს ჩვენ, მდგომარეობს იმაში, რომ დიდი ჟიურის საბრალდებო დასკვნა ან ფიცის დადებით გაკეთებული განცხადება, რომელიც დამახასიათებელია ინგლისის საერთო სამართლისთვის, აუცილებელ პირობას წარმოადგენს „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის“ უზრუნველსაყოფად განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის საქმეებზე, რაც გათვალისწინებულია და გარანტირებულია შეერთებული შტატების კონსტიტუციის ამ დებულებით და, შესაბამისად, შტატებს ეკრძალებათ მისი უგულებელყოფა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებისას.

ამ საკითხს დიდი და სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან იგი გავლენას ახდენს როგორც კერძო, ისე საჯარო უფლებებსა და დიდი მასშტაბის ინტერესებზე და საჭიროებს იმ დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინებას, რომლებსაც შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეთოთხმეტე შესწორება შტატების საკანონმდებლო პოლიტიკისთვის აწესებს.

კალიფორნიის უზენაესი სასამართლო განსახილველ განაჩენში დაეყრდნო თავის წინა გადაწყვეტილებას საქმეზე *Kalloch v. Superior Court*, 56 Cal. 229, რომელშიც აღნიშნული საკითხი ზედმიწევნით იქნა განხილული. ხსენებულ საქმეზე მისი დასკვნა იყო შემდეგი:

„ეს სამართალწარმოება, ვინაიდან [ის] რეგულირდება ამ შტატის კონსტიტუციითა და კანონებით, არათუ ეწინააღმდეგება ფრაზების „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა“ და „მინის კანონი“ განმარტებებს, არამედ, პირიქით, ის წარმოადგენს სამართალწარმოებას, რომელიც მკაცრად შეესაბამება ამ განმარტებებს, ისევე როგორც სამართალწარმოება საბრალდებო დასკვნის თანხლებით. შეიძლება დაიბადოს ეჭვი, თუ რამდენად უზრუნველყოფს საბრალდებო დასკვნა უმაღლეს უფლებებსა და პრივილეგიებს ბრალდებულისთვის, მაგრამ, რა თქმა უნდა, საჩივრის საფუძველზე განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნა არ ტოვებს მას იმუნიტეტის ან დაცვის გარეშე, რომლის უფლებაც მას აქვს კანონით“.

ასევე, სასამართლოს დასკვნაში ციტირებულია და იგი ეყრდნობა ვისკონსინის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე *Rowan v. The State*, 30 Wis. 129. ამ საქმეში სასამართლო საუბრობს რა მეთოთხმეტე შესწორების შესახებ, აღნიშნავს:

„მაგრამ მისი მიზანი არ იყო, რომ შტატები სასამართლო წარმოების კონკრეტული პროცედურით შეეზღუდა და აეკრძალა მათთვის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების დევნა საჩივრის და არა საბრალდებო დასკვნის საფუძველზე, იმ შემთხვევაში, თუ ისინი გადაწყვეტდნენ დიდი ჟიურის სისტემის გაუქმებას. ამავდროულად, შესწორებაში მოცემული სიტყვები „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა“ არ გულისხმობს და მათ არ გააჩნია ისეთი ეფექტი, რომ შეზღუდოს შტატების მთავრობების უფლებამოსილებები საბრალდებო დასკვნის საფუძველზე განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნით, არამედ გულისხმობს მართლმსაჯულების განხორციელების ჩვეულებრივ პროცესს, ინდივიდუალური უფლებების დაცვის დადგენილი ფორმებითა და ზოგადი წესების შესაბამისად. სამართლის მეცნიერების განვითარებასა და საზოგადოების პროგრესთან ერთად, დროდადრო უნდა შეიცვალოს მართლმსაჯულების განხორციელების მეთოდები და სამართლებრივი დაცვის საშუალებები და, თუ შტატის მოსახლეობა გონივრულად და მიზანშეწონილად მიიჩნევს დიდი ჟიურის გაუქმებასა და ყველა დანაშაულის დევნას საჩივრის საფუძველზე, არც ჩვენი შტატის კონსტიტუციაში და არც შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეთოთხმეტე შესწორებაში არ არის ისეთი რამ, რაც ხელს შეუშლის მათ ამის გაკეთებაში“.

მეორე მხრივ, აპელანტის სახელით ამტკიცებენ, რომ ფრაზა „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა“ ეკვივალენტურია ფრაზისა „მინის კანონი“, რომელიც მოცემულია „თავისუფლების დიდი ქარტიის“ (*Magna Charta*) 29-ე თავში; რომ უხსოვარი ჩვეულების ძალით, მან შეიძინა მყარი, განსაზღვრული და ტექნიკური მნიშვნელობა; რომ ის ეხება და მოიცავს არა მხოლოდ საზოგადოების თავისუფლებისა და კერძო უფლების ზოგად პრინციპებს, რომლებიც საძირკველს უყრის ყველა მხრივ თავისუფალ მთავრობას, არამედ იმ ინსტიტუტებსაც, რომლებიც, დროითა და ჩვეულებით პატივცემულნი, გამოცდილებითაა ნაცადი და მიზანშეწონილად

და საჭიროდაა მიჩნეული ამ პრინციპების შესანარჩუნებლად და რომლებიც, ისევე როგორც ინგლისის ყოველი ქვეშევრდომისთვის დაბადებითა და მემკვიდრეობით მინიჭებული უფლება, კოლონისტებთან ერთად ატლანტის ოკეანის გადმოკვეთის შემდეგ დაინერგა და დამკვიდრდა შტატის ძირითად კანონებში; რომ ეს ფრაზა, რომელიც თავდაპირველად შეერთებული შტატების კონსტიტუციაში შეტანილ იქნა მთავრობის უფლებამოსილებათა შესაზღუდად და რომელიც ამოქმედდა ამ ინსტრუმენტის მიერ, ახლა პირისთვის დამატებით გარანტიას წარმოადგენს თავად შტატების მხრიდან ჩაგვრისგან დასაცავად; რომ ერთ-ერთი ასეთი ინსტიტუტი არის დიდი ჟიური, რომლის საბრალდებო დასკვნაც ან ფიცის დადებით გაკეთებული განცხადება, გამოცემულ ბრალდებულის წინააღმდეგ სავარაუდო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის საქმეებზე, წარმოადგენს ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის არსებით ნაწილს, იმისათვის რომ ის არ იქნეს შევიწროებული ან განადგურებული მხოლოდ კონკრეტული პირის მტრულ განწყობაზე ან ხალხის რისხვაზე დაფუძნებული სისხლისსამართლებრივი დევნის გამო.

რა თქმა უნდა, ამ მოსაზრებას მხარს უჭერს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე შოუსა და იმ სასამართლოს ავტორიტეტული სახელი, რომლის თავმჯდომარეც იყო ის, რომლებმაც საქმეში *Jones v. Robbins*, 8 Gray 329, დაადგინეს, რომ მასაჩუსეტისის „უფლებათა ბილის“ მე-12 მუხლი, ამონარიდი „თავისუფლების დიდი ქარტიდან“ ამ საკითხთან დაკავშირებით ითვალისწინებს, რომ დიდი ჟიურის საბრალდებო დასკვნა ან ფიცის დადებით გაკეთებული განცხადება აუცილებელი პირობაა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების დევნის საქმეებში მსჯავრდების კანონიერებისთვის. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებისას აღნიშნულ საქმეზე, რომელშიც მხოლოდ ჯ. მერიკს ჰქონდა განსხვავებული აზრი, აღნიშნა:

„ცალკეული მოქალაქის უფლება, იყოს დაცული დიდი ჟიურის ფიცის დადებით გაკეთებული განცხადებისა და საბრალდებო დასკვნის საფუძველზე, საფუძვლიანი ეჭვის დადგენამდე, ღია და საჯარო ბრალდებისგან დანაშაულის ჩადენაში და საჯარო სასამართლო პროცესით გამონვეული უსიამოვნებისგან, ხარჯებისა და შემფოთებისგან, უდანაშაულო ადამიანებისთვის სამართლიანად მიიჩნევა ერთ-ერთ გარანტიად ნაჩქარევი, ბოროტგანზრახული და მჩაგვრელი საჯარო დევნის წინააღმდეგ, ასევე ინგლისის თავისუფლების იმუნიტეტისა და პრივილეგიის ერთ-ერთ უძველეს ფორმად... ლორდ კოკს ნათქვამი აქვს“, – განაგრძო მან – „რომ „მინის კანონის“ მიზანს წარმოადგენდა სამართალწარმოების ჯეროვანი პროცესის უზრუნველყოფა საერთო სამართლის სასამართლოების დადგენილი წესებისა და პრაქტიკის შესაბამისად, ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი შესაძლოა მოიცავდეს სამართალწარმოების სხვა მეთოდებს, რომლებიც ნებადართულია საერთო სამართლით და რომელთაგან ყველაზე გავრცელებული მეთოდები ითვა-

ლისწინებს მეფის სახელით გვირგვინის ოფიცრების მიერ სხვადასხვა სახის საჩივრების წარდგენას. თუმცა ამის პასუხად შეიძლება ითქვას, რომ თავად ლორდ კოკი განმარტავს საკუთარ მოსაზრებას იმის აღნიშვნით, რომ „მინის კანონი“, როგორც ის მოცემულია „თავისუფლების დიდ ქარტიაში“, გულისხმობდა ჯეროვან სამართლებრივ პროცედურას, ანუ კეთილსინდისიერი და კანონიერი ადამიანების მიერ გამოტანილ საბრალდებო დასკვნას ან ფიცის დადებით გაკეთებულ განცხადებას. ასევე ნათქვამია, ბლექსტონის წყაროზე დაყრდნობით, რომ, კონსტიტუციური კანონის თანახმად, ყველა სახის საჩივარი მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულებით შემოიფარგლება. 4 Bl.Com. 310“.

ის კვლავ დაუბრუნდა ლორდ კოკის პასაჟს და ამბობს (გვ. 343):

„ეს შეიძლება არ იყოს დამაჯერებელი, მაგრამ, როგორც მაღალი ავტორიტეტის მქონე მწერლის მიერ ჩვენი წინაპრების ემიგრაციამდე მიღებული კონსტრუქცია, მას შეუძლია გვიჩვენოს, თუ როგორ ესმოდათ ის მაშინ“.

ეს ნაწყვეტი კოკიდან, როგორც ჩანს, არის მთავარი საფუძველი იმ მოსაზრებისა, რომლისთვისაც მოხდა მისი ციტირება; მაგრამ ტექსტისა და კონტექსტის კრიტიკული შესწავლა და შედარება აჩვენებს, რომ ის არასწორად იქნა გაგებული; რომ ის მიზნად არ ისახავდა იმის მტკიცებას, რომ დიდი ჟიურის საბრალდებო დასკვნა ან ფიცის დადებით გაკეთებული განცხადება არსებითია სისხლის სამართლის დანაშაულების დევნისა და დასჯის ჯეროვანი პროცედურის იდეისთვის, არამედ იგი ნახსენებია მხოლოდ როგორც ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის მაგალითი და ილუსტრაცია, როგორც ის თაქტობრივად არსებობდა იმ საქმეებში, რომლებშიც ის ჩვეულებრივ გამოიყენება. „თავისუფლების დიდი ქარტიის“ ამ თავის კომენტარის დასაწყისში, 2 Inst. 46, კოკი აღნიშნავს:

„ეს თავი შეიცავს ცხრა განყოფილებას“:

1. „რომ პირი შეიძლება დააკავონ ან დააპატიმრონ მხოლოდ *per legem terrae* (მინის კანონის შესაბამისად), ანუ ინგლისის საერთო სამართლის, სტატუტური სამართლის ან ჩვეულების შესაბამისად; რადგან სიტყვები *per legem terrae*, რომლებიც მოცემულია ამ თავის ბოლოს, ვრცელდება ამ თავის ყველა საკითხზე და ა. შ.“
2. „არავის არ შეიძლება წაერთვას ქონება და ა. შ., თუ ეს არ ხდება მის თანასწორთა (ანუ იმავე მდგომარეობაში მყოფი ადამიანების) კანონიერი გადანაცვებით, ანუ ვერდიქტის, საფუძველზე ან მინის კანონის საფუძველზე (ანუ ერთხელ და სამუდამოდ) ჯეროვანი სამართლებრივი პროცესისა და პროცედურის შესაბამისად.“

შემდეგ ის აღნიშნავს, რომ

3. არავინ არ შეიძლება იქნეს კანონგარეშედ გამოცხადებული, თუ ამას არ ითვალისწინებს მიწის კანონი;
4. არავის გაძევება არ შეიძლება, თუ ამას არ ითვალისწინებს მიწის კანონი; არავინ არ შეიძლება განადგურდეს „თუ ეს არ მოხდება მის თანასწორთა ვერდიქტის საფუძველზე, ანუ მიწის კანონის შესაბამისად“;
6. „არავინ არ შეიძლება გასამართლდეს მეფის შუამდგომლობით, იქნება ეს სამეფო კარის სასამართლოში მეფის წინაშე, სადაც პროცესები *coram rege* (თავად მეფის თანდასწრებით) იმართება (და ამგვარად უნდა გავიგოთ სიტყვები *nec super eum mittemus*), თუ რომელიმე სხვა კომისრის ან მოსამართლის წინაშე, და ამგვარად უნდა გავიგოთ სიტყვები *nec super eum mittemus*, თუ არ თანაბართა, ანუ თანასწორთა, გადაწყვეტილების საფუძველზე ან მიწის კანონის შესაბამისად.“

უბრუნდება რა ამ თავის პირველ პუნქტს, ის აგრძელებს:

„1. არავინ არ უნდა დააკავონ, (ანუ) ალუკვეთონ თავისუფლება მეფისა თუ მისი საბჭოსთვის წარდგენილი შუამდგომლობის ან წინადადების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს კეთდება კეთილსინდისიერი და კანონიერი ადამიანების მიერ გამოტანილი საბრალდებო დასკვნის ან ფიცის დადებით გაკეთებული განცხადების საფუძველზე. ამ აქტის ეს განყოფილება და მრავალი სხვა ნაწილი მკათიოდაა ახსნილი პარლამენტის სხვადასხვა აქტით და ა. შ., რომლებიც ციტირებულია არშიაზე.“

საუბარია ელუარდ III-ის მეფობის დროს გამოცემულ სხვადასხვა აქტზე. ისევ აღწევს რა სიტყვებს „*nisi per legem terrae*“, ის განაგრძობს:

„თუ არ მიწის კანონის შესაბამისად. ამ სიტყვების ჭეშმარიტი მნიშვნელობისა და ინტერპრეტაციისთვის იხილეთ სტატუტი 37 E. 3, cap. 8, სადაც სიტყვები „მიწის კანონის შესაბამისად“ გადმოიხვეწა „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის გარეშე“, რადგან მასში ნათქვამია, და ამას „თავისუფლების დიდი ქარტიაც“ ითვალისწინებს, რომ არავინ არ შეიძლება იქნეს დაკავებული, დაპატიმრებული ან არავის არ უნდა წაერთვას თავისუფლება სამართლებრივი პროცედურის უზრუნველყოფის გარეშე, ანუ კეთილსინდისიერი და კანონიერი ადამიანების მიერ გამოტანილი საბრალდებო დასკვნის საფუძველზე, როდესაც აღნიშნული ქმედებები ხორციელდება სათანადო ფორმით, ან საერთო სამართლით გათვალისწინებული, სასამართლოში გამოძახების შესახებ საწყისი ბრძანების საფუძველზე, პასუხისგებაში მიცემის გარეშე, მაგრამ საერთო სამართლით გათვალისწინებული ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის შესაბამისად, არავინ არ უნდა მიეცეს პასუხისგებაში მოსამართლეთა წინაშე წარდგენის, ოქმის წარმოების, ჯეროვანი პროცედურის ან სასამართლოში გამოძახების შესახებ საწყისი ბრძანების გარეშე, მიწის ძველი კანონის შესაბამისად.“

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ ეს თავი უბრალოდ საუბრობს ინგლისის ძველ კანონზე.

ამ ნაწყვეტებიდან საკმაოდ ნათლად ჩანს, რომ ლორდ კოკის ნათქვამის ჩვეული ინტერპრეტაცია ძალიან ფართოა, რადგან, თუ დიდი ყიურის საბრალდებო დასკვნა ან ფიცის დადებით გაკეთებული განცხადება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენისთვის თავისუფლების აღკვეთის ნებისმიერ შემთხვევაში ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის აუცილებელი წინაპირობაა, ის ეხება არა მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებს, არამედ ასევე ნაკლებად მძიმე დანაშაულებსა და წვრილმან დანაშაულებს და გარდაუვალი იქნებოდა დასკვნა, რომ საბრალდებო დასკვნის ნაცვლად საჩივრის გამოყენება ნებისმიერ შემთხვევაში უკანონო იქნებოდა. სერ ფრენსის უინინტონი ამტკიცებდა ბატონი პრინის საქმეში, 5 Mod. 459, „თავისუფლების დიდი ქარტიის“ სწორედ ამ ფორმულირებიდან გამომდინარე, რომ სამეფო კარის ყველა სასამართლო პროცესი უნდა მიმდინარეობდეს ფიცის დადებით გაკეთებული განცხადების ან საბრალდებო დასკვნის საფუძველზე, და ამ საკითხთან დაკავშირებით მან მოახდინა ლორდ კოკის, როგორც ავტორიტეტული წყაროს, ციტირება. ის შეეცადა ეჩვენებინა, რომ საჩივრები საფუძველს იღებს 1494 წელს ამოქმედებული აქტიდან 11 Hen. 7, c. 3, რომელიც ცნობილია როგორც ემპსონისა და დადლის სამარცხვინო კანონი, რომელიც 1509 წელს გაუქმდა აქტით 1 Hen. 8, c. 6. მაგრამ ეს არგუმენტი უარყოფილ იქნა ლორდ ჰოლტის მიერ, რომელიც ამბობდა, რომ სხვაგვარად მიჩნევა „იქნებოდა მთელი ადვოკატურის უპატივცემულობა.“ სერ ბართლომე შოუერმა, რომელსაც არ მიეცა საშუალება, სიტყვით გამოსულიყო საჩივრების მხარდასაჭერად, საკუთარი არგუმენტები წარმოადგინა თავის მოხსენებაში საქმეზე სახელწოდებით *The King v. Berchet*, 1 Show. 106, რომელშიც იგი ზედმინევიანთ ასახავს იმდროინდელ ცოდნას ამ საკითხთან დაკავშირებით. ის ლამობს, „დაამტკიცოს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ეს მეთოდი არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება რომელიმე ფუნდამენტურ სამართლებრივ ნორმას, არამედ, პირიქით, თანხვედრაშია მასთან.“ პროტესტზე, რომ ეს სუბიექტისთვის მოუხერხებელი და შემანუხებელია, ის უპასუხებს (გვ. 117):

„აქ ხალხისთვის შემანუხებელი არაფერია. აქ საქმე გვაქვს სასამართლო პროცესთან *per pais* (ნათუც მსაჯულთა მონაწილეობით), სამართლიან გაფრთხილებასთან, შუამდგომლობის გაკეთების თავისუფლებასთან როგორც *გადადებასთან*, ისე *შესაგებლებთან* დაკავშირებით. ასევე გვაქვს *სასამართლოში გამოძახების უწყება* და *დაპატიმრების ბრძანება*, იგივე დრო დაცვის, ბრალდების მხარისთვის, პროკურორისთვის ოქმის შესადგენად და ა. შ.; შემდეგ კი, ავზრახული დევნის შემთხვევაში, სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, დევნის განმახორციელებელი პირის ვინაობა ცნობილი ხდება კორონერისთვის შეტყობინების გაგზავნით“.

ის უპასუხებს „თავისუფლების დიდი ქარტიდან“ მოყვანილ არგუმენტს და ამბობს:

„რომ სისხლისსამართლებრივი დევნის ეს მეთოდი არ ეწინააღმდეგება ამ კანონს, რადგან ჩვენ ვამბობთ, რომ ეს არის *per legem terrae et per communem legem terrae* (შესაბამისობაში მიწის კანონთან და ქვეყნის საერთო სამართალთან), რადგან, სხვა მხრივ, პრაქტიკა ასეთი უნივერსალური არასოდეს ყოფილა ყველა დროში“.

და მიუთითებს რა კოკის კომენტარზე, რომ „არავინ არ უნდა დააკავონ“, ანუ აღუკვეთონ თავისუფლება მეფისა თუ მისი საბჭოსთვის წარდგენილი შუამდგომლობის ან წინადადების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ხდება საბრალოდ დასკვნის ან ფიცის დადებით გაკეთებული განცხადების საფუძველზე, ის აღნიშნავს (გვ. 122):

„არავითარ შემთხვევაში არ იგულისხმება სამეფო ტახტის სასამართლოს შუამდგომლობა ან წინადადება, ვინაიდან თავად მეფის არჩევანი იყო მისი აქ არსებობა; იგულისხმება მხოლოდ მეფე ან საბჭო ან ვარსკვლავიანი პალატა. სამეფო ტახტის სასამართლოში საჩივარი არ არის წინადადება მეფისადმი, არამედ *სასამართლოსადმი რეგისტრაციის საფუძველზე*“.

და ის განაგრძობს 3 Inst. 136-ის ციტირებას, სადაც კოკი ცვლის ამ ფორმულირებას და ამბობს: „მეფეს არ შეუძლია მისცეს ვინმე უპასუხისგებაში, მაგრამ მის სასამართლოს უნდა ეცნობოს დანაშაულის შესახებ საბრალოდ დასკვნის, ფიცის დადებით გაკეთებული განცხადების ან *ოქმში დაფიქსირებული სხვა დოკუმენტის* სახით“, რომელიც, როგორც შოუერი ამბობს, მოიცავს საჩივარსაც.

ამგვარად, ახლახან დადგინდა, რომ კორონერის მიერ აღამიანის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიების ჩატარებისა და მოკვდინების ან უნებლიე მკვლელობის საქმეზე გამამტყუნებელი ვერდიქტის გამოტანის შემდეგ, დამნაშავის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის აღძვრა და მისი გასამართლება შესაძლებელია დიდი უიურის მონაწილეობის გარეშე. საქმე *Reg. v. Ingham*, 5 B. & S. 257. საქმეში *Rex v. Joliffe*, 4 T.R. 28-293, ჯ. ბულერმა თქვა, რომ, თუ ცილისწამებასთან დაკავშირებულ საქმეში, სადაც მოსარჩელეს ბრალს უყენებენ მძიმე დანაშაულის ჩადენაში, წარმოდგენილია ნათეს მსაჯულთა დასაბუთება, იგი თავისთავად უტოლდება დიდი უიურის მიერ გამოტანილ საბრალოდ დასკვნას და საკმარისია ბრალოდების სამართალში მისაცემად.

ლორდ კოკის ფორმულირება ეხება მხოლოდ სიცოცხლის წართმევასა და თავისუფლების აღკვეთას მეფის შუამდგომლობით და, შესაბამისად, არასოდეს არ ითვლებოდა, რომ კერძო პირის მიმართვა სიკვდილით დასჯის თაობაზე ეწინააღმდეგება „თავისუფლების დიდ ქარტიას“. პირიქით, მიმართვა სიკვდილით დასჯის თაობაზე ლორდ ჰოლტის მიერ „მიჩნეული იყო კეთილშობილურ სამართლებრივ



საშუალებად და ინგლისელი ხალხის უფლებებისა და თავისუფლებების სიმბოლოდ.“ საქმე *Rex v. Toler*, 1 Ld.Raymond, 555-557; 12 Mod. 375; ჰოლტი, 483. როგორც ვიცით, წინა საუკუნის დასაწყისში ინგლისში გასამართლება, დამნაშავედ ცნობა და სიკვდილით მსჯავრდება იმ პირებისა, რომლებიც მკვლელობის საქმეებში საბრალდებო დასკვნის გამოტანის შემდეგ იქნენ გამართლებული, ხშირ შემთხვევებში მიმართვის საფუძველზე ხდებოდა. კენდალი სასამართლო პაექრობაზე (3d Ed.) 447. მიმართვა სიკვდილით დასჯის თაობაზე ინგლისში ჯერ კიდევ 1817 წელს იქნა შემოღებული, მაგრამ წარუმატებელი იყო, თუ აპელანტი უარს ამბობდა სასამართლო პაექრობაზე. საქმე *Ashford v. Thornton*, 1 B. & Ald. 405. პენსილვანიისა და მერილენდის პროვინციებში სიკვდილით დასჯის თაობაზე მიმართვასთან დაკავშირებით მოქმედებდა ინგლისური კანონები. მოსამართლეთა ანგარიში, 3 Binn. 599-604; კილტი მერილენდის კანონებზე, 141, 143, 158. როგორც ცნობილია, მსგავსი მიმართვები პენსილვანიაში საერთოდ არ შემოუღიათ, თუმცა მერილენდში 1765 წელს ზანგი გასამართლეს და სიკვდილით დასაჯეს ასეთი მიმართვის საფუძველზე. საქმე *Soper v. Tom*, 1 Har. & McHen. 227. იხილეთ კომენტარი *პექსტონის საქმეზე*, Quincy’s Mass.Rep. 53, მომზადებული მოსამართლე გრეის მიერ.

ლორდ კოკის ფორმულირებაში ჩადებულ აზრს იზიარებს ჯ. მერიკი თავის განსხვავებულ აზრში საქმეზე *Jones v. Robbins*, 8 გრეი 329, რომელმაც თავისი დასკვნა შემდეგი სიტყვებით გადმოსცა:

„ეს არის სასამართლო პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ფართო და ზოგადი კანონის შესაბამისად, რომელიც თანაბრად მოქმედებს ჩვენი საზოგადოების ყველა წევრის მიმართ, რაც – სიტყვებიდან „მინის კანონის შესაბამისად“ გამომდინარე, რომლებიც მოცემულია „თავისუფლების დიდ ქარტიაში“ და უფლებათა შესახებ ყოველ შემდგომ დეკლარაციაში, რომელსაც ნასესხები აქვს ამ უკანასკნელის ფორმულირება – აუცილებელია მოქალაქის უსაფრთხოებისთვის როგორც მისი თავისუფლების, ისევე ქონების დასაცავად, მისი პიროვნების უკანონოდ დაკავების ან მისი ქონების უკანონოდ ხელყოფის თავიდან აცილების გზით“.

ასევე იხილეთ საქმე *State v. Starling*, 15 Rich. (S.C.) Law 120. ბატონმა რივმა, 2 „ინგლისის სამართლის ისტორიაში“, 43, თარგმნა ფრაზა *nisi per legale iudicium parium suorum vel per legem terrae*: „თუ არ თანასწორთა გადანწყვეტილების საფუძველზე, ან რომელიმე სხვა სამართლებრივი პროცესის თუ სამართალწარმოების საფუძველზე, რომელსაც კანონი მიუსადაგებს საქმის ბუნებას“.

Chancellor Kent, 2 Com. 13, მიყვება ამ ფრაზის ასეთ განმარტებას. „თავისუფლების დიდი ქარტიის“ ფორმულირების ციტირებით და მასთან დაკავშირებით ლორდ კოკის კომენტარზე მითითებით იგი ამბობს:

„ჯეროვანი პროცედურის უკეთესი და ფართო განმარტებაა, რომ ის გულისხმობს მართლმსაჯულების განხორციელების ჩვეულებრივ პროცესს მართლმსაჯულების ორგანოთა მეშვეობით“.

ეს თანხვედრაშია იმასთან, რაც ნათქვამია საქმეში *Westervelt v. Gregg*, 1 N.Y. 202, ჯ. დენიოს მიერ, გვ. 212:

„ამ დებულების მიზანი იყო, დაეცვა მოქალაქეები ძალაუფლების ყველა აქტისგან, იქნებოდა ეს ხელისუფლების საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი შტოსგან მომდინარე აქტი.“

ამ ფრაზის უმთავრესი და ჭეშმარიტი მნიშვნელობა არასოდეს ყოფილა ისე ლაკონურად და ზუსტად გადმოცემული, როგორც მოსამართლე ჯონსონის მიერ საქმეში *Bank of Columbia v. Okely*, 4 Wheat. 235-244:

„რაც შეეხება მერილენდის კონსტიტუციაში შეტანილ სიტყვებს „თავისუფლების დიდი ქარტიდან“, მას შემდეგ, რაც ბევრი რამ ითქვა და დაიწერა მათი ინტერპრეტაციის მიზნით, კაცობრიობის საღი აზრი, ბოლოსდაბოლოს, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ისინი მიზნად ისახავდა პიროვნების დაცვას უფლებამოსილებათა თვითნებურად განხორციელებისგან ხელისუფლების მიერ, რომელიც არ იყო შეზღუდული კერძო უფლებისა და განაწილებითი სამართლიანობის დადგენილი პრინციპებით.“

ხოლო, როგორც ბ-ნი ქელი აღნიშნავს, *Constitutional Limitations*, 36, დასკვნა, რომელიც სამართლიანად გამოიმდინარეობს აღნიშნულიდან, არის შემდეგი:

„პრინციპებმა, რომლებზეც დაფუძნებულია პროცესი, უნდა განსაზღვროს, არის თუ არა ეს „ჯეროვანი პროცედურა“ და არა უბრალო მოსაზრებები. ადმინისტრაციული და დადგენითი პროცესი შესაძლოა დროდადრო შეიცვალოს, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეთა დასაცავად დადგენილი მითითებების გათვალისწინებით“.

თუმცა, ჩვენთვის არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ აპელანტის სახელით შეტანილი საჩივარი გამყარებულია ამ სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმეზე *Murray's Lessee v. Hoboken Land & Improvement Company*, 18 How. 272. მასში მოსამართლე კერტისი, სასამართლოს გადაწყვეტილების გამოცხადებისას, მას შემდეგ, რაც მან აჩვენა, პ. 59 U. S. 276, რომ ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა უნდა ნიშნავდეს უფრო მეტს, ვიდრე ქვეყნის ფაქტობრივ, მოქმედ კანონს, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ შეზღუდავდა საკანონმდებლო ძალაუფლებას, აღნიშნავს შემდეგს:

„რომელ პრინციპებს უნდა მივმართოთ იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, არის თუ

არა კონგრესის მიერ ამოქმედებული პროცედურა ჯეროვანი? ამაზე პასუხი ორმხრივი უნდა იყოს. ჩვენ უნდა შევისწავლოთ თავად კონსტიტუცია, რათა დავინახოთ, ეწინააღმდეგება თუ არა ეს პროცედურა მის რომელიმე დებულებას. თუ ასე არ აღმოჩნდა, უნდა მივმართოთ სამართალწარმოების იმ დადგენილ გამოყენებასა და მეთოდებს, რომლებიც არსებობდა ინგლისის საერთო და სტატუტურ სამართალში ჩვენი წინაპრების ემიგრაციამდე და რომლებიც, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, არ იყო შეუფერებელი მათი სამოქალაქო და პოლიტიკური მდგომარეობისთვის ამ ქვეყანაში მათი დასახლების შემდეგ.“

აღნიშნული, როგორც ამტკიცებენ, უზრუნველყოფს აუცილებელ ტექსტს იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა“ – რომ კანონით სხვაგვარად ნებადართული ნებისმიერი პროცედურა, რომელიც არ არის განმტკიცებული პრაქტიკით, ან რომელიც ცვლის და ანაცვლებს ასეთ პროცედურას, არ შეიძლება ჩაითვალოს ჯეროვან სამართლებრივ პროცედურად.

მაგრამ ეს დასკვნა უსაფუძვლოა. ციტირებული პასაჟის ჭეშმარიტი არსი მდგომარეობს იმაში, რომ სამართლებრივი პროცედურა, რომელიც სხვაგვარად არ არის აკრძალული, უნდა ჩაითვალოს ჯეროვან სამართლებრივ პროცედურად, თუ ის შეიძლება აღიარებულ იქნეს დამკვიდრებულ პრაქტიკად როგორც ინგლისში, ისე ამ ქვეყანაში; მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ სხვა არაფერი შეიძლება იყოს ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა. მოხსენიებულ საქმეში კითხვა გაჩნდა გამარტივებულ წარმოებასთან დაკავშირებით – არის თუ არა ის ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა. ამაზე პასუხი იყო, რომ, როგორი განსაკუთრებულებაც არ უნდა იყოს ის, შემონახული ჩვეულებრივი პროცედურის განმარტებებითა და პრინციპებით, ფაქტობრივად, ის უხსოვარი დროიდან წარმოადგენს მინის მოქმედ კანონს და, მამასადამე, ჯეროვან სამართლებრივ პროცედურას.

მაგრამ იმის მტკიცება, რომ ეს მახასიათებელი ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურისთვის არსებითია, იქნებოდა კანონის ყოველგვარი თვისების უარყოფა, გარდა მისი ასაკისა, და შეუძლებელს გახდიდა მის განვითარებასა და გაუმჯობესებას. ეს იქნებოდა ჩვენს იურისპრუდენციაზე უცვლელობის დამლის დაჭდევა, რომელსაც მიაწერენ მიდიელთა და სპარსელთა კანონებს.

მით უმეტეს, ეს უჩვეულო და გასაკვირი იქნებოდა ჩვენს სწრაფად განვითარებად და აქტიურ ეპოქაში, თუ გავითვალისწინებთ, რომ ინგლისში, სამართლებრივი იდეებისა და ინსტიტუტების პროგრესული განვითარების წყალობით, „თავისუფლების დიდი ქარტიის“ ტექსტს ამერიკული კოლონიების გამოყოფის დროს სრულიად განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე თავდაპირველად. თავიდან სიტყვებს *nisi per legale iudicium parium* (თუ არ თანახმორთა გადაწყვეტილების საფუძველზე) არანაირი კავშირი არ ჰქონდა ნათუიკ მსაჯულებთან; ისინი ეხებოდა

მხოლოდ *pares regni*-ს (ინგლისის პერებს), რომლებიც იყვნენ სახაზინო სასამართლოს საკონსტიტუციო მოსამართლეები და გადაწყვეტილებებს *coram rege* (თავად მეფის თანდასწრებით) იღებდნენ. Bac.Abr. Juries, 7th Ed., Lond., note, Reeve, H.L. 41. ხოლო რაც შეეხება თავად დიდ ჟიურის, მისი შემადგენლობისა და ფუნქციების შესახებ ჩვენ ვიგებთ „კლარენდონის ასიზებიდან“, ახ. წ. 1164, და ასევე „ნორთჰემპტონის ასიზებიდან“, ახ. წ. 1176, Stubbs' Charters, 143-150. ამ უკანასკნელში, რომელიც პირველის განმეორებით გამოცემას წარმოადგენდა, ნათქვამი იყო, რომ:

„თუ, საგრაფოს ოლქის თორმეტი რაინდის ფიცით, ან, რაინდების არარსებობის შემთხვევაში, საგრაფოს ოლქის თითოეული სამრევლოდან თორმეტი თავისუფალი და კანონიერი ადამიანის ფიცით, ვინმეს მეფის, ჩვენი მბრძანებლის, მოსამართლეთა წინაშე ბრალს წაუყენებენ ქურდობაში, ძარცვაში ან ამ დანაშაულთა ჩამდენი პირების შეფარებაში, გაყალბებაში ან ცეცხლის წაკიდებაში, დაე, დაექვემდებაროს იგი მძიმე გამოცდას წყლით და, თუ იგი მას ვერ გადალახავს, მოეკვეთოს ცალი ფეხი. ნორთჰემპტონში კი უფრო მკაცრი მართლმსაჯულებისთვის (*pro rigore justitiae*) დაამატეს, რომ ფეხთან ერთად მას მოჰკვეთენ მარჯვენა ხელსაც, და რომ ის დადებს აღთქმას სამეფოს სამუდამოდ დატოვების თაობაზე და ორმოცი დღის ვადაში დატოვებს სამეფოს. ხოლო, თუ მძიმე გამოცდის შედეგად მას გაამართლებენ, დაე, იპოვოს თავდებები და დარჩეს სამეფოში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მას ბრალს უყენებენ მკვლელობაში ან სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენაში ქვეყნის ორგანო და კანონიერი რაინდები; თუმცა, თუ მას ბრალს ამგვარად დასდებენ, მაგრამ წყლით გამოცდის შედეგად გაამართლებენ, მან მაინც უნდა დატოვოს სამეფო ორმოც დღეში და თან წაიღოს თავისი ქონება, მისი ბატონის უფლებების გათვალისწინებით, ხოლო აღთქმა სამეფოს სამუდამოდ დატოვების თაობაზე უნდა დადოს მეფის, ჩვენი მბრძანებლის, ნება-სურვილით“.

„შესაბამისად, დამკვიდრებული სისტემა, – ამბობს მოსამართლე სტეფენსი, 1 Hist. Crim.Law of England, 252, – მარტივია. ქვეყნის ორგანო ბრალმდებლებია. მათ მიერ წაყენებული ბრალდება პრაქტიკულად სასჯელის ტოლფასია, მაგრამ დამოკიდებულია წყლით გამოცდის ხელსაყრელ შედეგზე. თუ გამოცდა წარუმატებლობით სრულდება, ბრალდებული კარგავს ფეხსა და ხელს. თუ ის წარმატებით სრულდება, ბრალდებულს მაინც აძევებენ ქვეყნიდან. შესაბამისად, ბრალდება, სულ მცირე, გაძევების ტოლფასი იყო“.

თუ ამას დავამატებთ იმას, რომ პირველყოფილი დიდი ჟიური არ უსმენდა მოწმეებს, რომ დაედასტურებინა ბრალდებების სიმართლე, არამედ ბრალს სდებდა პირს საკუთარი ცოდნის საფუძველზე ან გამოჰქონდა საბრალდებო დასკვნა საერთო სახელგანთქმულობისა და საყოველთაო უნდობლობის საფუძველზე, ჩვენ უნდა ვიყოთ მზად იმისათვის, რომ ვაღიაროთ, ჩვენი „უძველესი თავისუფლებების“



საუკეთესო გარანტიების ძიებაში უმჯობესია, არ წავიდეთ ძალიან შორს ანტიკურობაში. ჩვენი ისტორიული სამართლებრივი ინსტიტუტების ჭეშმარიტ ფილოსოფიას უფრო შეესაბამება მტკიცება, რომ პირადი თავისუფლებისა და ინდივიდუალური უფლების სულისკვეთება, რომელიც მათ განასახიერებს, შენარჩუნდა და განვითარდა იმ ფორმებისა და პროცესების თანდათანობითი ზრდისა და მათი ახალ გარემოებებსა და ვითარებასთან გონივრული შეგუების გზით, რომლებიც დროდადრო პოულობდნენ ახალ გამოხატულებას და მეტ გავლენას ახდენდნენ თვითმმართველობის თანამედროვე იდეებზე.

ეს მოქნილობა და ზრდისა და ადაპტაციის უნარი საერთო სამართლის განსაკუთრებული სიამაყე და უპირატესობაა. სერ ჯეიმს მაკინტოში განვითარების ამ პრინციპს თავად „თავისუფლების დიდ ქარტიას“ მიანერს. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ:

„მისი განსაკუთრებული უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ მისი პრინციპების შედეგები ვლინდებოდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნელ-ნელა და თანდათან. ყოველ თითოეულ შემთხვევაში მისგან ვიღებდით თავისუფლებისა და რეფორმის მხოლოდ იმდენ სულისკვეთებას, რამდენსაც მოითხოვდა მომდევნო თაობების გარემოებები და რამდენსაც უვნებლად გაუძლებდა მათი ხასიათი. თითქმის ხუთი საუკუნის განმავლობაში მას ხალხის სახელით მიმართავდნენ როგორც დამაჯერებელ წყაროს, თუმცა, როგორც წესი, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საჭირო იყო თითოეული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე“.

1 Hist. of England, 221.

მართალია, შეერთებული შტატების კონსტიტუცია მიიღეს ინგლისელთა შთამომავლებმა, რომლებსაც, თავის მხრივ, მემკვიდრეობით ხვდათ ინგლისური სამართლისა და ისტორიის ტრადიციები, თუმცა ის შექმნილია გაურკვეველი და ფართო მომავლისთვის და იმ ხალხისთვის, რომელშიც შედის და შევა მრავალი ნაცია და ენა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ საერთო სამართლის პრინციპებითა და ინსტიტუტებით, არ უნდა დაგვაფინყდეს, რომ იმ ქვეყნებისთვის, სადაც იურისპრუდენციის სხვა სისტემები უპირატესადაა დამკვიდრებული, ასევე ცნობილია სამოქალაქო სამართლიანობის იდეები და პროცესები. ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა, კონტინენტური მთავრობების აბსოლუტიზმის მიუხედავად, უცხო არ არის იმ კოდექსისთვის, რომელიც გადაურჩა რომის იმპერიას და გახდა ევროპაში თანამედროვე ცივილიზაციის საფუძველი და რომელმაც დაგვიტოვა განაწილებითი სამართლიანობის ეს ფუნდამენტური მაქსიმა – *suum cuique tribuere* (ყველას მიეცით თავისი უფლება). „თავისუფლების დიდ ქარტიაში“, რომელიც სამართლიანად მიიჩნევა საჯარო უფლებისა და სამართლის ვრცელ ქარტიად, არაფერია ისეთი, რაც გამორიცხავს ყველა სისტემისა და ყველა ეპოქის საუკეთესო იდეებს და, ვინაიდან საერთო სამართლის და-

მახასიათებელ პრინციპს წარმოადგენდა შთაგონების მართლმსაჯულების ყველა წყაროდან მიღება, ჩვენ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი შთაგონების წყაროები ამონურულია. პირიქით, უნდა გვქონდეს იმის მოლოდინი, რომ ჩვენი მდგომარეობისა და სისტემის ახალი და მრავალფეროვანი გამოცდილება მას ახალ და არანაკლებ სასარგებლო ფორმას შესძენს.

„თავისუფლების დიდი ქარტიის“ დათმობები მეფისგან მივიღეთ როგორც გარანტიები მისი პრეროგატივის დაკნინებისა და უზურპაციის წინააღმდეგ. ბარონებს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ უსაფრთხოება უზრუნველყვით თავიანთი თავისთვის ან თემთა პალატის სასარგებლოდ, პარლამენტის უფლებამოსილების შეზღუდვით; ისე რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირისთვის ყველა სამოქალაქო და ქონებრივი უფლების ჩამორთმევის შესახებ კანონები, უკუძალის მქონე კანონები, ქონების კონფისკაციის შესახებ კანონები და სხვა თვითნებური საკანონმდებლო აქტები, რომლებიც ასე ხშირად გვხვდება ინგლისის ისტორიაში, არასოდეს მიიჩნეოდა შეუთავსებლად მიწის კანონთან, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რაც ბონჰემის საქმეში (*Bonham's Case*), 8 Rep. 115, 118a, ლორდ კოკს მიანერეს, პარლამენტის უზენაესობა საერთო სამართალთან შედარებით აბსოლუტური იყო, მაშინაც კი, როცა ეს ეწინააღმდეგებოდა თითოეული ადამიანის უფლებასა და საღ აზრს. ინგლისის თავისუფლების ფაქტობრივი და პრაქტიკული გარანტია საკანონმდებლო ტირანიისგან იყო თავისუფალი საზოგადოებრივი აზრის ძალა, რომელსაც წარმოადგენდა თემთა პალატა.

დანერჩილ კონსტიტუციებს ამ ქვეყანაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ხალხის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მათი მთავრობებისთვის დელეგირებული ძალაუფლების ხელყოფისგან, ამიტომაც „თავისუფლების დიდი ქარტიის“ დებულებებმა ასახვა პოვა უფლებათა ბილებში. ისინი ზღუდავდნენ ხელისუფლების ყველა ძალაუფლებას, იქნებოდა ეს საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო ხელისუფლება.

ამიტომ, ვინაიდან თავისუფლებისა და სამართლიანობის ამ ფართო და ზოგად მაქსიმებს ჩვენს სისტემაში განსხვავებული ადგილი ეკავა და განსხვავებული ფუნქცია ჰქონდა, ვიდრე ინგლისის კონსტიტუციურ ისტორიასა და სამართალში, მათ უნდა მიეღოთ და გაემართლებინათ შესაბამისი და უფრო ყოვლისმომცველი ინტერპრეტაცია. თუ ინგლისში ისინი გამოიყენებოდა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან უზურპაციისა და ტირანიისგან დასაცავად, აქ ისინი იქცა ზღუდვად თვითნებური კანონმდებლობის წინააღმდეგ; მაგრამ ამგვარი პრაქტიკის არსებობისას, ვინაიდან აბსურდული იქნებოდა მათი გაზომვა და შემზღუდა ინგლისის უძველესი ჩვეულებითი სამართლით, მათ უნდა უზრუნველყვით არა პროცედურის კონკრეტული ფორმები, არამედ სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების ინდივიდუალური უფლებების თვით არსი.



შეზღუდვები, რომლებიც აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის შეეძლოთ დაენესებინათ დიდი სიზუსტითა და დეტალებით, სამართლიანი და საჭირო დისკრეციის მქონე საკანონმდებლო ორგანოს შემთხვევაში ისინი შეიძლება ობსტრუქციული და საზიანო ყოფილიყო; მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ შემთხვევაში კანონები, რომლებიც არღვევს სპეციალურ და კონკრეტულ აკრძალვებს, სასამართლოს მიერ მარტივად შეიძლება გამოცხადდეს იურიდიული ძალის არმქონედ, მაგრამ ნებისმიერი ზოგადი პრინციპი თუ მაქსიმა, რომელიც ეფუძნება სამართლის არსებით ბუნებას, როგორც საზოგადოების ნებისა და იმ მთავრობის სამართლიან და გონივრულ გამოხატვას, რომელიც ჩამოყალიბებულია ხალხის თანხმობით და საზოგადო სიკეთისთვის, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მისი სულისკვეთებისა და მიზნის მკაფიოდ შესაბამისი შემთხვევების და არა იმ საკანონმდებლო დებულებების მიმართ, რომლებიც უბრალოდ ადგენს მიზნის მიღწევის ფორმებსა და გზებს. ასეთმა წესებმა, თუ მოვიშველიებთ ბერკის სიტყვებს, „შეიძლება შეცვალოს მეთოდი და პრაქტიკული გამოყენება, მაგრამ თავდაპირველი მართლმსაჯულების არსს ვერ შეცვლის.“ *Tract on the Popery Laws, 6 Burke's Works, ed. Little & Brown, 33.*

ასეთია დოქტრინა, რომელსაც ეს სასამართლო ხშირად იმეორებს. საქმეში *Munn v. Illinois, 94 U. S. 113-134*, სასამართლოს გადანყვეტილების გამოცხადებისას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ აღნიშნა:

„პირს არ აქვს ქონება, არ გააჩნია ლეგიტიმური ინტერესი საერთო სამართლის რომელიმე ნორმის მიმართ. ეს მუნიციპალური კანონის მხოლოდ ერთი ფორმაა და ის არ არის უფრო წმინდა, ვიდრე სხვა დანარჩენი. საერთო სამართლით შექმნილი საკუთრების უფლება ადამიანს არ შეიძლება წაერთვას ჯეროვანი პროცედურის გარეშე; მაგრამ თავად კანონი, როგორც ქცევის ნორმა, შეიძლება შეიცვალოს კანონმდებლის სურვილისამებრ ან თუნდაც მისი ახირებით, თუ ამას კონსტიტუციური შეზღუდვები არ შეუზღობს ხელს. მართლაც, სტატუტების მთავარი ფუნქცია საერთო სამართლის ხარვეზების აღმოფხვრაა მათი წარმოშობის შემთხვევაში, ასევე საერთო სამართლის ადაპტაცია დროისა და გარემოებების ცვლილებებთან“.

საქმეში *Walker v. Sauvinet, 92 U. S. 90*, სასამართლომ აღნიშნა:

„ამრიგად, შტატის სასამართლოებში განსახილველ საერთო სამართლის საქმეებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არ არის ეროვნული მოქალაქეობის პრივილეგია ან იმუნიტეტი, რომლის შეზღუდვაც შტატებს ეკრძალებათ მეთოთხმეტე შესწორების შესაბამისად. შტატს არ შეუძლია პირს ჩამოართვას ქონება ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის უზრუნველყოფის გარეშე; მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ შტატის სასამართლოებში ყველა სასამართლო პროცესი, რომელიც ეხება ადამიანების ქონებას, უნდა ტარდებოდეს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. კონსტიტუ-

ციის ეს მოთხოვნა სრულდება, თუ სასამართლო პროცესი ტარდება სასამართლო წარმოებისთვის დადგენილი წესის შესაბამისად. ჯეროვანი პროცედურა არის პროცესი, რომელიც ხორციელდება მიწის კანონის შესაბამისად. ამ პროცედურას შტატებში აწესრიგებს შტატის კანონი“.

საქმეში *Kennard v. Louisiana ex rel. Morgan*, 92 U. S. 480, განიხილებოდა საკითხი, წარმოადგენდა თუ არა ჯეროვან პროცედურას თანამდებობის დაკავების უფლებასთან დაკავშირებული საქმის განხილვის მეთოდი, რომელიც არ ითვალისწინებდა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობას. მისი კანონიერება დადასტურდა. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ მას შემდეგ, რაც მან ჩამოთვალა სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპი, აღნიშნა:

„აქედან გამომდინარეობს, რომ საკმარისი საშუალებები იქნა გათვალისწინებული დავის კომპეტენტური იურისდიქციის სასამართლოში განსახილველად; იმ მხარის სასამართლოში წარსადგენად, რომლის წინააღმდეგაც განიხილავს საქმეს სასამართლო და მისთვის შესატყობინებლად იმ საქმის შესახებ, რომელზეც ის უნდა წარსდგეს პასუხების გასაცემად; თავის დასაცავად მისთვის სიტყვიერ გამოხატვის შესაძლებლობის მისაცემად; მსჯელობისთვის და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოსატანად; ამ გადაწყვეტილების გასასაჩივრებლად შტატის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოში და იქვე საქმის მოსასმენად და გადაწყვეტილების გამოსატანად. ფაქტთა უბრალო კონსტატაცია სრულ პასუხს იძლევა ყველა კონსტიტუციურ პროტესტზე, რომელიც ამ კანონის მოქმედებასთან არის წამოჭრილი“.

თუმცა, მოსამართლე მილერმა საქმეში *Davidson v. New Orleans*, 96 U. S. 97-105, აჩვენა რა ამ კონსტიტუციური ფრაზის განმარტების ფორმულირების სირთულე, თუ არა შეუძლებლობა, რომელიც უნდა იყოს „როგორც მკაფიო, ყოვლისმომცველი, ასევე დამაკმაყოფილებელი“, შემდეგ კი დაასკვნა, რომ გონივრულია „ფედერალურ კონსტიტუციაში ასეთი მნიშვნელოვანი ფრაზის განზრახვისა და გამოყენების გარკვევა სასამართლოს თანდათან ჩართვისა და გამორიცხვის გზით, იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მოითხოვს ამას გადაწყვეტილების მისაღებად წარდგენილი საქმეები“ აღნიშნავს, რომ:

„არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ მხარეს ჩამოერთვა ქონება ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის გარეშე, თუ ქონებასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით მან, შტატის კანონმდებლობის თანახმად, მიიღო სამართლიანი პროცესი სასამართლოში, მსგავსი საქმეებისთვის გათვალისწინებული სამართალწარმოების მეთოდების შესაბამისად“.

იხილეთ ასევე საქმე *Missouri v. Lewis*, 101 U. S. 22-31; *Ex parte Wall*, 107 U. S. 288-290.

ეს ფრაზა მეთოთხმეტე შესწორებაში უნდა განვმარტოთ თავად კონსტიტუციის *usus*

loquendi-ს (ჩვეულებრივი ენის) მიხედვით. იგივე სიტყვები მოცემულია მეხუთე შესწორებაში. ეს მუხლი შეიცავს კონკრეტულ და მკაფიო დებულებას დიდი ჟიურის ინსტიტუტის შენარჩუნების შესახებ იმდენად, რამდენადაც ეს ეხება შეერთებული შტატების კანონმდებლობით გათვალისწინებული უფრო მძიმე დანაშაულების დევნას. მასში ვკითხულობთ:

„არავინ არ უნდა აგოს პასუხი სიკვდილით დასჯადი ან სხვა სამარცხვინო დანაშაულისთვის, თუ არა დიდი ჟიურის მიერ ფიცის დადებით გაკეთებული განცხადების ან გამოტანილი საბრალდებო დასკვნის საფუძველზე, გარდა ომიანობის ან საზოგადოებრივი საფრთხის დროს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სახმელეთო თუ საზღვაო ძალებში ან მილიციაში წარმოშობილი შემთხვევებისა; არავინ არ უნდა დაექვემდებაროს სიცოცხლის ან კიდურის მოკვეთის საფრთხეს ორჯერ ერთი და იმავე დანაშაულისთვის; არავინ არ უნდა აიძულოს, იყოს მონაწილე საკუთარი თავის წინააღმდეგ სისხლის სამართლის ნებისმიერ საქმეში. [და შემდეგ იქვე დამატებულია:] ან წაერთვას სიცოცხლე, აღეკვეთოს თავისუფლება ან ჩამოერთვას ქონება ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის უზრუნველყოფის გარეშე“.

ინტერპრეტაციის აღიარებული კანონის თანახმად, რომელიც განსაკუთრებით ეხება კონსტიტუციური სამართლის ოფიციალურ და სერიოზულ დოკუმენტებს, ჩვენ არ გვაქვს უფლება, რომ საპირისპირო მკაფიო საფუძვლების გარეშე ვივარაუდოთ, რომ ამ ყველაზე მნიშვნელოვანი შესწორების ნებისმიერი ნაწილი არასაჭიროა. ბუნებრივი და აშკარა დასკვნა არის ის, რომ, კონსტიტუციის გაგებით, „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა“ არ გულისხმობდა ან ითვალისწინებდა, *ex vi termini*, დიდი ჟიურის ინსტიტუტსა და პროცედურას რომელიმე საქმეში. გამომდინარე დასკვნა უდავოა: როდესაც იგივე ფრაზა გამოყენებულ იქნა მეთოთხმეტე შესწორებაში შტატების ქმედებების შესაჩერებლად, ის გამოყენებულ იქნა იმავე გაგებით და არა უფრო მეტი მნიშვნელობით და რომ, თუ ამ შესწორების მიღებით მისი მიზანი იყო დიდი ჟიურის ინსტიტუტის დიდხანს არსებობის უზრუნველყოფა ყველა შტატში, მას, ისევე როგორც მეხუთე შესწორებას, უნდა მოეცვა მკაფიო განცხადებები ამის შესახებ. ამ უკანასკნელში ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის ქვეშ იგულისხმება მიწის კანონი, რომელიც ძალას იძენს კონგრესისთვის შეერთებული შტატების კონსტიტუციით მინიჭებული საკანონმდებლო უფლებამოსილების საფუძველზე, რომელიც ხორციელდება მასში დადგენილ ფარგლებში და განიმარტება საერთო სამართლის პრინციპების შესაბამისად. მეთოთხმეტე შესწორებაში ლოგიკურად ეს ეხება ყოველი შტატის იმ კანონს, რომელიც ძალას იძენს სახელმწიფოს თანდაყოლილი და დაცული უფლებამოსილების საფუძველზე და რომელიც ხორციელდება თავისუფლებისა და სამართლიანობის იმ ძირითადი პრინციპების ფარგლებში, რომლებიც საფუძველად უდევს ჩვენს ყველა სამოქალაქო და პოლიტიკურ ინსტიტუტს და რომლის

ყველაზე დიდი გარანტია არის ხალხის უფლება, შექმნას საკუთარი კანონები და შეცვალოს ისინი საკუთარი სურვილისამებრ.

„მეთოთხმეტე შესწორება (როგორც მოსამართლე ბრედლიმ აღნიშნა საქმეში *Missouri v. Lewis*, 101 U. S. 22-31) არ ითვალისწინებს შეერთებულ შტატებში ყველა ადამიანისთვის ერთსა და იმავე კანონისა და დაცვის ერთსა და იმავე სამართლებრივი საშუალებების უზრუნველყოფას. ორ შტატში, რომლებიც გამოყოფილია მხოლოდ წარმოსახვითი ხაზით, შეიძლება არსებობდეს დიდი განსხვავებები ამ მიმართებით. ამ ხაზის ერთ მხარეს შეიძლება იყოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს უფლება, ხოლო მეორე მხარეს – არა. თითოეული შტატი ადგენს სასამართლო წარმოების საკუთარ რეჟიმს“.

თუმცა, არ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს საკანონმდებლო უფლებამოსილებები აბსოლუტური და დესპოტური და რომ შესწორება, რომელიც ითვალისწინებს ჯეროვან სამართლებრივ პროცედურას, ძალიან ბუნდოვანი და განუსაზღვრელია იმისათვის, რომ იმოქმედოს როგორც პრაქტიკულმა შეზღუდვამ. ყველა აქტი, რომელსაც საკანონმდებლო ფორმა აქვს, კანონი არ არის. კანონი უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ნება, გამოხატული როგორც ძალაუფლების აქტი. ეს არ უნდა იყოს სპეციალური წესი კონკრეტული პიროვნებისთვის ან კონკრეტული საქმისთვის, არამედ, ბატონი ვებსტერის ენაზე რომ ვთქვათ, მისი ცნობილი განმარტების თანახმად, „ზოგადი კანონი არის კანონი, რომელიც ისმენს, ვიდრე განსჯის, რომელიც მოქმედებს გამოძიების საფუძველზე და გადანაცვეტილება გამოაქვს მხოლოდ სასამართლო პროცესის შემდეგ“, რათა „თითოეულმა მოქალაქემ დაიცვას თავისი სიცოცხლე, თავისუფლება, საკუთრება და იმუნიტეტი იმ ზოგადი წესების შესაბამისად, რომლებიც მართავს საზოგადოებას“, და ამგვარად გამოირიცხება, როგორც არაჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა, აქტები, რომელთა თანახმადაც განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირს ჩამოერთმევა ყველა სამოქალაქო და ქონებრივი უფლება, ბილები ჯარიმებისა და სასჯელების შესახებ, აქტები კონფისკაციის შესახებ, აქტები სასამართლო გადანაცვეტილებების გაუქმების შესახებ და აქტები, რომლებსაც პირდაპირ გადააქვს ერთი ადამიანის უძრავი ქონება მეორე ადამიანის საკუთრებაში, საკანონმდებლო გადანაცვეტილებები და ბრძანებულები და კანონმდებლობის ფორმით ძალაუფლების სხვა მსგავსი პირდაპირი, ნაწილობრივი და თვითნებური გამოვლინებები. თვითნებური ძალაუფლება, რომელიც ახორციელებს თავის ედიქტებს თავისი ქვეშევრდომებისა და მათი საკუთრების საზიანოდ, არ არის კანონი, იქნება ეს დაინტერესებული მონარქის ბრძანებულება თუ მიუკერძოებელი ფართო მასებისა. ხოლო ჩვენი კონსტიტუციური კანონით მთავრობების ქმედებებზე დანესებული შეზღუდვები, როგორც შტატების, ისე ეროვნულ დონეზე აუცილებელია საჯარო და კერძო უფლებების შესანარჩუნებლად, მიუხედავად ჩვენი პოლიტიკური ინსტიტუტების წარმომადგენლობითი ხასიათისა. სასამართლოს

მეშვეობით ამ შეზღუდვების აღსრულება არის თვითმმართველ თემებში პირებისა და უმცირესობების უფლებების დაცვის საშუალება, ისევე როგორც საშუალება რაოდენობრივი ძალაუფლების წინააღმდეგ, ასევე სახელმწიფო წარმომადგენლების ძალადობის წინააღმდეგ, რაც სცილდება მათ კანონიერ უფლებამოსილებას, თუნდაც ისინი მოქმედებდნენ მთავრობის სახელით და ძალით.

მისისიპის უზენაესი სასამართლო საუბრობს რა კარგად განხილულ საქმეში *Brown v. Levee Commissioners*, 50 Miss. 468, ფრაზის „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა“ მნიშვნელობაზე, აცხადებს:

„ეს პრინციპი არ მოითხოვს, რომ დროის რომელიმე მონაკვეთში არსებული კანონები იყოს გაუუქმებადი ან რომ აუცილებლად იყოს უზრუნველყოფილი სამართლებრივი დაცვის რაიმე საშუალება. ის ეხება გარკვეულ ძირითად უფლებებს, რომლებსაც ყოველთვის აღიარებდა იურისპრუდენციის ის სისტემა, რომლისგანაც წარმოიშვა ჩვენი. თუ რომელიმე მათგანი მხედველობაში არ მიიღება იმ საქმის-წარმოებაში, რომელშიც პირს მიესაჯა სიცოცხლის, თავისუფლების ან საკუთრების ჩამორთმევა, მაშინ ჩამორთმევა ვერ განხორციელდება „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის“ შესაბამისად.

ამ სასამართლომ, რომელსაც თავმჯდომარეობდა მოსამართლე მილერი საქმეში *Loan Association v. Topeka* 20 Wall. 655-662, განაცხადა:

„უნდა ვაღიაროთ, რომ ყველა თავისუფალ მმართველობაში არსებობს ისეთი უფლებები, რომლებიც შტატის კონტროლს მიღმაა. მმართველობა, რომელიც არ აღიარებდა ისეთ უფლებებს, რომლებიც მისი მოქალაქეების სიცოცხლეს, თავისუფლებას და საკუთრებას ყოველთვის უქვემდებარებს აბსოლუტურ მართვასა და თუნდაც ძალაუფლების ყველაზე დემოკრატიული საცავის განუსაზღვრელ კონტროლს, საბოლოო ჯამში დესპოტიზმია. მართალია, ეს უმრავლესობის დესპოტიზმია, თუ ამას ასე უწოდებთ, მაგრამ მაინც დესპოტიზმია. შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს, რომ, თუ ადამიანს სურს შეინარჩუნოს ყველაფერი, რასაც საკუთარს უწოდებს, ყველაფერი, რაშიც ხედავს თავის ბედნიერებას და რომლის უსაფრთხოებაც აუცილებელია ამ ბედნიერებისთვის, სხვათა შეზღუდვა ძალაუფლების ქვეშ, მაშინ უფრო გონივრული ხომ არ იქნება, რომ ეს ძალაუფლება განახორციელოს ერთმა ადამიანმა და არა ბევრმა“.

აქედან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების მიერ აღსრულებული ყოველი სამართალწარმოება, იქნება ეს განმტკიცებელი საუკუნეებითა და ჩვეულებით თუ ახლად შემუშავებული საკანონმდებლო ორგანოს შეხედულებისამებრ, ზოგადი საზოგადოებრივი სიკეთის ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც პატივს სცემს და ინარჩუნებს თავისუფლებისა და სამართლიანობის ამ პრინციპებს, აღიარებული უნდა იქნეს როგორც ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა.

კონფიქტის კონსტიტუცია, რომელიც მიღებულ იქნა 1818 წელს და მოქმედებდა მეთოთხმეტე შესწორების ძალაში შესვლის დროს, ითვალისწინებს დიდი ჟიურის საბრალდებო დასკვნას ან ფიცის დადებით გაკეთებულ განცხადებას მხოლოდ მაშინ, როდესაც დაკისრებული დანაშაულისთვის სასჯელი არის სიკვდილი ან სამუდამო პატიმრობა, მაგრამ ის ასევე აცხადებს, რომ „არავის არ უნდა ჩამოერთვას სიცოცხლე, თავისუფლება ან ქონება, თუ არა ჯეროვანი სამართლებრივი პროცესის საფუძველზე.“ ამრიგად, ის არ შეესაბამება დაცვის ზომას, რომელიც, როგორც აცხადებენ, გარანტირებულია „თავისუფლების დიდი ქარტიით“ პირად თავისუფლებასთან მიმართებით, მიუხედავად იმისა, რაც უდავოდ სწორად არის გადმოცემული სვიფტის კანონების კრებულში 17, რომ სარგებლობა „ამ წმინდა და შეუფასებელი უფლებით, რომლის გარეშეც ყველა სხვა დანარჩენს მკირე ღირებულება აქვს, შეუძლია ამ შტატის ყველა მაცხოვრებელს სრულფასოვნად, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში, და იმდენად, რამდენადაც ეს შეესაბამება სამოქალაქო მმართველობის ხასიათს. არცერთ ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს არ აქვს უფლება, თვითნებურად ან საკუთარი შეხედულებისამებრ დააპატიმროს ვინმე; არავის არ უნდა შეეზღუდოს თავისუფლება, არ უნდა აეკრძალოს ადგილიდან ადგილზე გადაადგილება როგორც მას სურს, არ უნდა იქნეს იძულებული წავიდეს ისეთ ადგილზე, რომელიც ეწინააღმდეგება მის სურვილებს, ან რაიმე ფორმით დააპატიმროს ან შეზღუდოს, თუ ეს არ არის დადგენილი ქვეყნის მკაფიო კანონებით“.

ამ პრინციპებიდან გამომდინარე, ვერ ვიტყვით, რომ დიდი ჟიურის მიერ ფიცის დადებით გაკეთებული განცხადების ან საბრალდებო დასკვნის ჩანაცვლება საჩივრით მაგისტრატის მიერ საქმის განხილვისა და პატიმრობის შეფარდების შემდეგ, რომელიც ადგენს ბრალდებულის შესაძლო ბრალეულობას, თავის მხრივ, ადვოკატის დახმარებისა და ბრალდების მხარისთვის წარდგენილი მონმეების ჯვარედინი დაკითხვის უფლებით არ არის ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა. როგორც უკვე დავრწმუნდით, ეს არის საერთო სამართლის ფარგლებში სამართალწარმოების უძველესი ფორმა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე ნაკლები სიმძიმის დანაშაულის ნებისმიერ საქმეს, გარდა სახელმწიფო ლაღატის განუცხადებლობისა და მისი ადმინისტრირების ყველა გარემოებაში, როგორც ამას ითვალისწინებს კალიფორნიის სტატუტი, ის ყურადღებით განიხილავს და იცავს პატიმრის არსებით ინტერესებს. ეს არის მხოლოდ წინასწარი სამართალწარმოება და მას არ შეიძლება შედეგად მოჰყვეს საბოლოო გადანყვტილება, ისე როგორც ჩვეულებრივი სასამართლო პროცესის შემთხვევაში, რომელიც ტარდება ზუსტად იმავე წესით, როგორც საბრალდებო დასკვნის შემთხვევაში.

საერთო სამართალში საქმისწარმოების ამ მეთოდზე საუბრისას, რომელიც, მისი თქმით, „ისეთივე ძველია, როგორც თავად საერთო სამართალი“, ბლექსტონი დასძენს (4 Com. 305):



„რაც შეეხება იმ დანაშაულებს, რომლებზეც დაშვებული იყო როგორც საჩივრები, ისე საბრალდებო დასკვნები, სანამ ისინი შემოიფარგლებოდა ამ მაღალი და პატივცემული იურისდიქციით და კანონიერად და რეგულარულად ხორციელდებოდა მისი უდიდებულესობის სამეფო ტახტის სასამართლოში, ქვეშევრდომს ჩივილის არანაირი საფუძველი არ ჰქონდა. გაიყვმოდა იმავე სახის შეტყობინება, აღიძვრებოდა იგივე პროცესი, დაიშვებოდა იგივე შუამდგომლობები, ტარდებოდა იგივე სასამართლო პროცესი უიურის მონაწილეობით, იგივე გადაწყვეტილება მიიღებოდა იმავე მოსამართლეების მიერ, თითქოს დევნა თავდაპირველად საბრალდებო დასკვნის საფუძველზე ხორციელდებოდა“.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, მასში შეცდომის აღმოჩენის გარეშე, კალიფორნიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება დადასტურებულია.

მოსამართლე ჰარლანის განსხვავებული აზრი:

აპელანტმა ჯომეუ ჰურტადომ, რომელსაც კალიფორნიის ერთ-ერთ სასამართლოში სიკვდილით დასჯა მიესაჯა, ეს სააპელაციო საჩივარი შეიტანა იმ საფუძველით, რომ მის წინააღმდეგ წარმოებული საქმე არღვევს შეერთებული შტატების კონსტიტუციას. დანაშაული, რომელშიც მას ბრალი დასდეს და დამნაშავედ ცნეს, იყო მკვლელობა. მის დევნას საფუძველად არ უდევს დიდი უიურის მიერ ფიცის დადებით გაკეთებული რაიმე განცხადება ან საბრალდებო დასკვნა, არამედ იმ ოლქის პროკურორის საჩივარი, რომელშიც, სავარაუდოდ, ჩადენილი იქნა დანაშაული. ის ამტკიცებს, რომ საჩივარი სიკვდილით დასჯადი დანაშაულის შესახებ აკრძალულია აშშ-ის კონსტიტუციის მეთოთხმეტე შესწორების დებულებით, რომელიც აცხადებს, რომ არცერთ შტატს არ შეუძლია „წაართვას პირს სიცოცხლე, აღუკვეთოს თავისუფლება ან ჩამოართვას ქონება ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის უზრუნველყოფის გარეშე“. იმის გამო, რომ მე არ შემძლია მივიღო, რომ შტატმა შეიძლება ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის შესაბამისად მოითხოვოს პირის პასუხისგება სასჯელის უმაღლესი ზომით დასჯადი დანაშაულისთვის მხოლოდ დიდი უიურის ფიცის დადებით გაკეთებული განცხადებით ან საბრალდებო დასკვნით, და ვინაიდან აქ გამოტანილ გადაწყვეტილებაში საქმე ეხება ადამიანის სიცოცხლეს, თავს უფლებას ვაძლევ დავასახელო მიზეზები სასამართლოსგან განსხვავებული ჩემი აზრისა.

ფრაზა „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა“ ახალი არ არის ამ ქვეყნის ან ინგლისის კონსტიტუციის ისტორიაში. ის წარმოიშვა ჯერ კიდევ ჩვენი ინსტიტუტების შექმნამდე. მათ, ვინც ჩაგვრისა და დევნის შედეგად განდევნილი იყო მშობლიური ქვეყნიდან, მემკვიდრეობად, რომლის დარღვევა ან განადგურება ვერც ერთმა

მთავრობამ ვერ შეძლო კანონიერად, თან მოიტანეს სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებების გარკვეული გარანტიები, რომლებიც დიდი ხანია ფუნდამენტურ გარანტიებად ითვლებოდა ანგლოსაქსურ ინსტიტუტებში. 1765 წელს ნიუ-იორკში გამართულ კოლონიების კონგრესზე გამოცხადდა, რომ კოლონიებს აქვთ ყველა ძირითადი უფლება, თავისუფლება, პრივილეგია და იმუნიტეტი, რომელიც დადასტურებულია „თავისუფლების დიდი ქარტიით“ ბრიტანეთის ქვეშევრდომებისთვის. Hutch.Hist.Mas.Bay, დანართი F. სთორი ამბობს, „იპოვედნენ რა, რომ ბრიტანელი ქვეშევრდომები ფლობდნენ ყველა უფლებას, თავისუფლებას და იმუნიტეტს, კოლონისტები თავიანთი ასამბლეების თითქმის ყველა ადრეულ კანონმდებლობაში დაჟინებით მოითხოვდნენ დეკლარაციული აქტის მიღებას, რომელიც აღიარებდა და დაადასტურებდა მათ“.

1 Story Const. § 165. ლორდთა პალატაში წარმომადგენლობის გარეშე დაბეგვრის დოქტრინაზე ლორდ ჩეთემი ამტკიცებდა, რომ კოლონიების მაცხოვრებლებს ჰქონდათ ინგლისელების ყველა უფლება და განსაკუთრებული პრივილეგია, რომ ისინი თანაბრად ვალდებულნი იყვნენ დამორჩილებოდნენ კანონებს და თანაბარი უფლება ჰქონდათ ინგლისის კონსტიტუციაზე. 1774 წლის 14 ოქტომბერს კონგრესში შეკრებილმა რამდენიმე დელეგატმა კოლონიებიდან და პლანტაციებიდან ოფიციალურად გამოაცხადა უფლებები, რომლებიც მათ ხალხს მინიჭებული აქვს ბუნების წარუვალვი კანონებით, ინგლისის კონსტიტუციის პრინციპებით და მრავალი ქარტიითა თუ ხელშეკრულებით, რომლითაც ორგანიზებულია კოლონიური მთავრობები. სხვა საკითხებთან ერთად, მათ განაცხადეს, რომ მათ წინაპრებს, რომლებიც პირველად დასახლდნენ კოლონიებში, მათი იმიგრაციის დროს „ჰქონდათ ინგლისის სამეფოში თავისუფალი და დაბადებით ქვეშევრდომების ყველა უფლება, თავისუფლება და იმუნიტეტი“; „რომ „ასეთი იმიგრაციით მათ არავითარ შემთხვევაში არ წართმევიათ, დაუთმიათ ან დაუკარგავთ რომელიმე ეს უფლება; რომ მათ ჰქონდათ და მათ შთამომავლებს აქვთ უფლება, ისარგებლონ ყველა მათგანით, რამდენადაც მათ ამის საშუალებას მათი მშობლიური და სხვა გარემოებები აძლევს“; და რომ „შესაბამის კოლონისტებს უფლება აქვთ, ისარგებლონ ინგლისის საერთო სამართლით და, განსაკუთრებით დიდი და უსაზღვრო პრივილეგია, გასამართლებული იქნენ თანასწორთა მიერ ახლომდებარე ოლქიდან ამ კანონის შესაბამისად“.

1 Journal of Congress 27-29.

ეს განცხადებები შემდგომ საკმაოდ დამაჯერებლად ხაზგასმულ იქნა, როდესაც თავდაპირველი შტატების ადრეულ კონსტიტუციებში შეტანილ იქნა საერთო სამართლის დოქტრინები ხალხის სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით. მასაჩუსეტის 1780 წლისა და ნიუ-ჰემპშირის 1784 წლის კონსტიტუცია ერთსა და იმავე ენაზე აცხადებს, რომ:



„არცერთ ქვეშევრდომს არ დააკავენ, დააპატიმრებენ, არ ჩამოართმევენ ან წაართმევენ საკუთრებას, იმუნიტეტს ან პრივილეგიებს, არ ჩამოართმევენ კანონით დაცვას, არ გადაასახლებენ ან წაართმევენ სიცოცხლეს, თავისუფლებას ან საკუთრებას, თუ არ მეზობელი ოლქის თანატოლთა მიერ გამოტანილი გადანყვეტილების ან მიწის კანონის საფუძველზე“;

მერილენდისა და ჩრდილოეთ კაროლინის 1776 წლისა და სამხრეთ კაროლინის 1778 წლის კონსტიტუციები აცხადებს, რომ „ამ შტატის არცერთი თავისუფალი მკვიდრი არ უნდა იქნეს დაკავებული ან დაპატიმრებული, ან ჩამოერთვას საკუთრება, თავისუფლება ან პრივილეგია, გამოცხადდეს კანონგარეშედ, იქნეს გადასახლებული ან რაიმე გზით განადგურდეს ან წაერთვას სიცოცხლე, თავისუფლება ან საკუთრება, თუ არ მეზობელი ოლქის თანატოლთა მიერ გამოტანილი გადანყვეტილების ან მიწის კანონის საფუძველზე“;

ვირჯინიამ 1776 წელს განაცხადა, რომ „არავის არ უნდა ჩამოერთვას თავისუფლება, გარდა მიწის კანონით ან მეზობელი ოლქის თანასწორთა მიერ გამოტანილი გადანყვეტილებით“; ხოლო დელავერმა 1792 წელს, რომ არცერთ ადამიანს „არ უნდა ჩამოერთვას სიცოცხლე, თავისუფლება ან საკუთრება, გარდა მეზობელი ოლქის თანასწორთა მიერ გამოტანილი გადანყვეტილების ან მიწის კანონის საფუძველზე“. 1789 წლის განკარგულებაში ჩრდილო-დასავლეთი ტერიტორიის მართვის შესახებ, თავდაპირველ შტატებსა და იმ ხალხსა და შტატებს შორის, რომლებიც უნდა ჩამოყალიბდეს ამ ტერიტორიიდან, ხელშეკრულების ერთ-ერთ მუხლში შეტანილი იქნა, რომ „არავის არ უნდა ჩამოერთვას სიცოცხლე, თავისუფლება ან საკუთრება, თუ არ მეზობელი ოლქის თანასწორთა მიერ გამოტანილი გადანყვეტილების ან მიწის კანონის საფუძველზე“. ეს ძირითადი დოქტრინები შემდგომში შეტანილი იქნა შეერთებული შტატების კონსტიტუციაში. ხალხი არ დააკმაყოფილა მე-3 მუხლის დებულებამ, რომლის თანახმადაც, „ყველა დანაშაულის საქმე, გარდა იმპიჩმენტისა, უნდა განიხილოს უიურიმ“. მათ სურდათ თავისუფლების ძირითადი პრინციპების უფრო სრული და ფართო გამოვლენა და ამიტომ მოითხოვდნენ, რომ სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებების გარანტიები, რომლებიც, როგორც გამოცდილებამ აჩვენა, არსებითია ხალხის უსაფრთხოებისთვის, არ უნდა დაექვემდებაროს ცენტრალური მთავრობის მხრიდან, კონგრესის კანონმდებლობის მეშვეობით, დარღვევის ან განადგურების საფრთხეს. ისინი ვერ ხედავდნენ მიზეზს, თუ რატომ არ შეიძლებოდა დაენესებინათ იგივე შეზღუდვები ცენტრალურ მთავრობაზე ამ უფლებებთან დაკავშირებით, რაც დაწესდა შტატებზე მათივე კონსტიტუციით. აქედან გამომდინარეობს თავდაპირველი შესწორებების სწრაფი მიღება, რომელთაგან მეხუთე, სხვა საკითხებთან ერთად, ითვალისწინებდა, რომ „არცერთ ადამიანს არ უნდა ჩამოერთვას სიცოცხლე, თავისუფლება ან საკუთრება ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის გარეშე“. ეს ფორმულირება

ჰგავს მეთოთხმეტე შესწორების დებულების ენას, რომელიც ახლა განიხილება. ეს მსგავსება შემთხვევითი არ არის. ის მიუთითებს შტატებისათვის იმავე შეზღუდვების დანესების განზრახვაზე, რაც დანესდა ცენტრალური მმართველობებისათვის, ისეთ სამართალწარმოებებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება სიცოცხლეს, თავისუფლებასა და საკუთრებას.

„ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა“ ეროვნული კონსტიტუციის მნიშვნელობის ფარგლებში არ ნიშნავს ერთს შტატების უფლებამოსილებებთან მიმართებით და მეორეს – საერთო მთავრობის უფლებამოსილებებთან მიმართებით. თუ ცენტრალური მთავრობის უფლებამოსილების ფარგლებში შემავალი კონკრეტული სამართალწარმოება, რომელიც ეხება სიცოცხლეს, აკრძალულია, რადგან არ წარმოადგენს ჯეროვან სამართლებრივ პროცედურას, როგორც ამას მოითხოვს შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეხუთე შესწორება, მაშინ შტატის უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული მსგავსი სამართალწარმოება, უნდა ჩაითვალოს უკანონოდ, რადგან არ წარმოადგენს ჯეროვან სამართლებრივ პროცედურას მეთოთხმეტე შესწორების მნიშვნელობის ფარგლებში. მაშ, რას ნიშნავს ბოლო შესწორებაში სიტყვები „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა“?

ამ მნიშვნელობის ძიებაში, საბედნიეროდ, არ დავრჩენილვართ წყაროსა და ერთადერთი წყაროს ავტორიტეტული მითითების გარეშე, საიდანაც საჭირო ინფორმაცია უნდა იქნეს მოპოვებული. საქმეში *Murray's Lessees v. Hoboken, &c., 18 How. 272, 59 U. S. 276*, ნათქვამია:

„კონსტიტუცია არ შეიცავს იმ პროცედურების აღწერას, რომელიც უნდა დაუშვას ან აკრძალოს. მასში არც კი არის ნათქვამი, რა პრინციპები უნდა იქნეს გამოყენებული, რათა დადგინდეს, არის თუ არა ეს ჯეროვანი პროცედურა. აშკარაა, რომ საკანონმდებლო ხელისუფლებას არ დარჩა უფლება, აემოქმედებინა რომელიმე პროცედურა, რომლის მოფიქრებაც შესაძლებელია. მუხლი ზღუდავს მმართველობის საკანონმდებლო, ისევე როგორც აღმასრულებელ და სასამართლო უფლებამოსილებებს და არ შეიძლება განიმარტოს ისე, რომ კონგრესს უტოვებდეს უფლებამოსილებას, სურვილისამებრ გახადოს ნებისმიერი პროცედურა „ჯეროვან სამართლებრივ პროცედურად“. რომელ პრინციპებს უნდა მივმართოთ იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, არის თუ არა კონგრესის მიერ ამოქმედებული პროცედურა ჯეროვანი? ამაზე პასუხი ორმხრივი უნდა იყოს. ჩვენ უნდა შევისწავლოთ თავად კონსტიტუცია, რათა დავინახოთ, ეწინააღმდეგება თუ არა ეს პროცედურა მის რომელიმე დებულებას. თუ ასე არ აღმოჩნდა, უნდა მივმართოთ *სამართალწარმოების იმ დადგენილ გამოყენებასა და მეთოდებს, რომლებიც არსებობდა ინგლისის საერთო და შტატურ სამართალში ჩვენი წინაპრების ემიგრაციამდე და რომლებიც, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, არ იყო შეუფერებელი მათი სამოქალაქო და პოლიტიკური მდგომარეობისთვის ამ ქვეყანაში მათი დასახლების შემდეგ“.*



„თავისუფლების დიდ ქარტიას“ – რომელსაც ეფუძნება ჩვენი წინაპრების უფლებები, თავისუფლებები და იმუნიტეტი – ეწოდა „სამეფოს თავისუფლებათა ქარტია“, თქვა კოკმა, „დიდი მიზეზის გამო, რადგან *liberos facit* ხდის ადამიანებს თავისუფალს“. ჰოლემი ინგლისის ისტორიაში მნიშვნელოვან მოვლენად ახასიათებს მის ხელმოწერას და აცხადებს, რომ ინსტრუმენტი ჯერ კიდევ ინგლისის თავისუფლების ქვაკუთხედი. მაკინტოშმა თქვა, „ის რომ შეიქმნა, ის რომ შენარჩუნდა, რომ მომწიფდა, წარმოადგენს ინგლისის უკვდავ პრეტენზიას კაცობრიობის პატივისცემაზე.“ ამ დოკუმენტში მეფემ, წარმოადგენდა რა ერის სუვერენიტეტს, განაცხადა, რომ „არცერთი თავისუფალი ადამიანი არ უნდა დააკავონ ან დააპატიმრონ, ჩამოართვან საკუთრება ან თავისუფლება, ან თავისუფალი წეს-ჩვეულებები, ან გამოცხადდეს კანონგარეშედ, იქნეს გაძევებული ან სხვაგვარად განადგურებული; და ჩვენ განვსჯით და განვკიცხავთ მას მხოლოდ მის თანახმობითა მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ან მიწის კანონის საფუძველზე“.

„სიტყვები „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა“ უდავოდ ისახავდა მიზნად“, თქვა ამ სასამართლო საქმეში *Murray's Lessees v. Hoboken, &c.* „იმავე მნიშვნელობის გადმოცემას, რომლებსაც „თავისუფლების დიდ ქარტიაში“ გადმოსცემს სიტყვები „მიწის კანონის საფუძველზე“. ერთი რომ მეორის ეკვივალენტურია, აღიარებული იქნა საქმეში *Davidson v. New Orleans*, 96 U. S. 97. ასევე იხილეთ *2 Kent, 13*; *2 Story Const. § 1789*; *Cooley's Const.Lim. 353*; *Pomeroy's Const.Law, § 245*; საქმე *Greene v. Briggs, 1 Curtis 325*. რომელი ფრაზაც არ უნდა იყოს ჩვენს ამერიკულ, ეროვნულ თუ შტატების, კონსტიტუციაში – „მიწის კანონი“ თუ „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა“ – ეს ნიშნავს ერთსა და იმავეს თითოეულ საქმეში. *Cooley's Const.Lim. 352*.

უარყო რა ადვოკატების აზრი ინგლისში პრეცედენტების ძიებაში იმ მტკიცების მხარდასაჭერად ან უარსაყოფად, რომ საერთო სამართალმა დაუშვა საჩივრები გარკვეული კატეგორიის საჯარო ხასიათის დანაშაულებისთვის, და აღიარა რა, რომ ზოგიერთ საქმეში, მაგალითად, ბატონი პრინის საქმეში, 5 Mod. 459, რომელიც ეხებოდა საჩივარს საზოგადოებრივი არეულობის შესახებ და რომელიც განიხილა მთავარმა მოსამართლე ჰოლტმა, ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნა ამ პროცედურით, მოდით, დავსვათ კითხვა – და აქ სხვა რომელიმე კითხვა არ არის მიზანშეწონილი – ითვლებოდა თუ არა ჯეროვან სამართლებრივ პროცედურად, ჩვენი კონსტიტუციის მიღებამდე, სამართალწარმოების დადგენილი გამოყენებისა და მეთოდების შესაბამისად, რომლებზეც მითითება უნდა გაკეთდეს, სასამართლოს თანახმად, საჩივარი სიკვდილით დასჯადი დანაშაულისთვის.

ერსკინმა თავის 1784 წელს წმინდა ასათვის დეკანის დასაცავად სამეფო ტახტის მოსამართლეების წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში თქვა:

„თუ ადამიანი ჩაიდენდა სიკვდილით დასჯად დანაშაულს ინგლისის ყველა მოსამართლის მიუხედავად, მათი გაერთიანებული უფლებამოსილება ვერ გადასცემდა მას სასამართლოს; ისინი ვერ შეძლებდნენ მის წინააღმდეგ საჩივრის წარდგენას, თუნდაც სისხლის სამართლის უზენაესი სასამართლოს ჩანაწერების საფუძველზეც კი, არამედ შეძლებდნენ მის საიმედოდ დაპატიმრებას, რაც თანაბრად განეკუთვნება ნებისმიერი ჩვეულებრივი მომრიგებელი მოსამართლის კომპეტენციას. მხოლოდ დიდი უიური შეძლება, თავისი შეხედულებისამებრ, მისთვის ბრალის წარდგენას და, საბოლოოდ, შეიძლება გაეთავისუფლებინა ის პასუხისმგებლობისგან ბილის გამოვლენით, რომელშიც უკანა მხარეს მონაწილეთა სახით მითითებული იქნებოდა ყველა თქვენი ბრწყინვალეების სახელი. თუ უნდა ითქვას, რომ დიდი უიურის ეს ექსკლუზიური უფლებამოსილება არ ვრცელდება ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე, რომლებიც შეიძლება იდენებოდეს სისხლისსამართლებრივად საჩივრის საფუძველზე, მე ვუპასუხებ, რომ ამ მიზეზით ორმაგად აუცილებელი ხდება სხვა უიურის უფლებამოსილების შენარჩუნება“.

ის, რომ ოფიციალური ჩაგვრისგან ხალხის უფლებების ეს დამცველი არ ცდებოდა, როცა აცხადებდა, რომ არავინ შეიძლება მიეცეს პასუხისმგებაში სიკვდილით დასჯადი დანაშაულისათვის, გარდა დიდი უიურის მიერ ფიცის დადებით გაკეთებული განცხადების ან საბრალდებო დასკვნის საფუძველზე, ნაჩვენებია საერთო სამართლის თითქმის ყველა გვერდზე. ბლექსტონი ამბობს:

„მაგრამ იმისათვის, რომ ბილი მიღებულ იქნეს, საჭიროა, სულ მცირე, უიურის თორმეტი წევრის თანხმობა, ვინაიდან ინგლისში ისე უფრო ხილდებიან თავიანთი ქვეშევრდომების სიცოცხლეს, რომ მეფის შუამდგომლობით ვერავის გაასამართლებენ სიკვდილით დასჯადი რომელიმე დანაშაულისათვის, თუ მას ერთხმად არ განსჯის ოცდაათი თანასწორი და მეზობლები, ანუ დიდი უიურის, სულ მცირე, თორმეტი წევრი, რომლებიც ეთანხმებიან ბრალდებას, შემდეგ კი მთელი პატარა უიური, რომელიც შედგება დამატებით თორმეტი ადამიანისგან, სასამართლო პროცესზე დამნაშავედ ცნობს მას“.

4 Bl.Com. 306. იგივე ავტორი, მიუთითებს რა საჩივრის საფუძველზე განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნის სახეებზე, ამავდროულად, აღწერს რა მათ შორის სხვაობას და აცხადებს რა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა საჩივრის (ან შეთავაზების) საფუძველზე, რომელიც შეტანილია სამეფო ტახტის გენერალური პროკურორის, ან მისი კორონერის ან სამეფო ტახტის სასამართლოს მთავარი გვირგვინის ოფიცრის მიერ, ისევე ძველი იყო, როგორც თავად საერთო სამართალი, აცხადებს:

„მაგრამ ეს საჩივრები (ნებისმიერი სახის) კონსტიტუციური კანონის მიხედვით შემოიფარგლება მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულებით, რადგან სადაც არ უნდა

მოხდეს სიკვდილით დასჯადი დანაშაულისათვის პასუხისგებაში მიცემა, იგივე კანონი მოითხოვს, რომ ბრალდება იყოს განმტკიცებული თორმეტი ადამიანის ფიცით, სანამ მხარე მიეცემა პასუხისგებაში“.

4 Bl.Com. 309-10. კვლავ, უიურის მიერ წარმოებული სასამართლო პროცესის მისეული განხილვისას, ბლექსტონმა, დაათვისა რა, რომ ინგლისურმა სამართალმა „ბრძნულად მოათავსა ეს ძლიერი და ორმაგი ბარიერის მქონე ფიცის დადებით გაკეთებული განცხადება და უიურის მიერ წარმოებული სასამართლო პროცესი ხალხის თავისუფლებებსა და გვირგვინის პრეროგატივას შორის“, აღნიშნა:

„ინგლისური სამართლის ფუძემდებლებმა, უზუსტესი პროგნოზების საფუძველზე დაასკვნეს, რომ არავინ შეიძლება მიეცეს მეფის წინაშე პასუხისგებაში სიკვდილით დასჯადი დანაშაულისთვის, თუ ეს არ მოხდა თორმეტი ან მეტი სუბიექტისგან შემდგარი დიდი უიურის მიერ უაპელაციო ბრალის წაყენებისას და, რომ ნებისმიერი ბრალდების ნამდვილობა, რომელიც შეიძლება იყოს საბრალდებო დასკვნის, საჩივრის ან აპელაციის ფორმით, შემდგომში ერთხმად უნდა დადასტურდეს თორმეტი თანასწორის ან მეზობლის მიერ, რომლებიც შერჩეულია მიუკერძოებლად და გამორიცხავენ ყოველგვარ ეჭვს. შესაბამისად, ინგლისის თავისუფლებამ არ შეიძლება არ იარსებოს მანამ, სანამ ეს უსაფრთხოების გარანტი დარჩება წმინდად და ხელშეუვალად და გადაურჩება არა მხოლოდ ყველა ღია თავდასხმას (რაც აქამდე არავის უცდია), არამედ ყველა საიდუმლო მარტინაციას, რამაც შეიძლება დაარღვიოს იგი და ძირი გამოეთხაროს მას მომრიგებელი მოსამართლეების, საგადასახადო სამსახურის კომისიებისა და სინდისის სასამართლოების მიერ გასამართლების ახალი და თვითნებური მეთოდების შემოღების გზით. ხოლო, ერთი შეხედვით, ეს რამდენად *მოსახერხებლადაც* არ უნდა ჩანდეს (ისევე, როგორც ეჭვგარეშეა ის ფაქტი, რომ ყველა თვითნებური ძალაუფლება, რომელიც კარგად არის განხორციელებული, ყველაზე მოსახერხებელია), მაინც უნდა გვახსოვდეს, რომ გაჭიანურება და თუნდაც პატარა მოუხერხებელი სიტუაციები, რომლებიც მართლმსაჯულების ფორმებში შეიძლება შეგვხვდეს, არის ის საფასური, რომელიც ყველა თავისუფალმა ერმა უნდა გადაიხადოს საკუთარი თავისუფლებისთვის; რომ ეს თავდასხმები ერისათვის წმინდა ციტადელზე ფუნდამენტურად ეწინააღმდეგება ჩვენი კონსტიტუციის სულისკვეთებას და რომ, მიუხედავად იმისა, რომ სულ პატარა საბაბით შეიძლება დაიწყოს, პრეცედენტი შეიძლება თანდათან გაიზარდოს და ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებში შეიძლება იმ დონემდეც მივიდეს, რომ შესაბამისი უიურის გამოყენება შეიძლება საერთოდ აღარ იყოს საჭირო“.

4 Bl.Com. 349-350.

ჰოკინსი, თავის „გვირგვინის ოფიცრების შუამდგომლობებში“ (Bk. 2, თავი 26) აღნიშნავს რა, რომ საჩივრის საფუძველზე სამართალწარმოების დაწყება გარკვე-

ულ შემთხვევებში ყოველდღიური პრაქტიკაა, დასძენს: „მაგრამ მე არსად ამომიკითხავს, რომ ასეთი საჩივარი იყოს სიკვდილით დასჯადი დანაშაულის ან სახელმწიფო ღალატის განუცხადებლობის საფუძველი“. ვუდესონის „ლექციებში ინგლისის კანონმდებლობის შესახებ“ (ლექც. 38) ნათქვამია, რომ „საჩივრები არ შეიძლება წარდგენილ იქნეს სიკვდილით დასჯად დანაშაულთან დაკავშირებულ საქმეებში და არც სახელმწიფო ღალატის განუცხადებლობის საქმეებში. მეთიუ ბეკონი თავის სამართლის კრებულში „Abridgment“ ამბობს:

„მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ სერ მეთიუ ჰეილის მიხედვით, ყველა სისხლის-სამართლებრივ საქმეში ყველაზე რეგულარული და უსაფრთხო, ასევე „თავისუფლების დიდ ქარტიასთან“ &c. ყველაზე მიახლოებული გზაა თორმეტი ადამიანის ფიცით გაკეთებული განცხადება ან საბრალდებო დასკვნა, ის მაინც აღიარებს, რომ სისხლისსამართლებრივი დანაშაულებისთვის, რომლებიც *სიკვდილით დასჯად დანაშაულთან შედარებით მსუბუქია*, საქმისწარმოება შეიძლება დაიწყოს საჩივრის საფუძველზე.“

Title Information A. *იხილეთ, ასევე* 2 Hal.Hist.P.C. c. 201; Jacobs' Law Dictionary, Title Information; Broom's Com.Laws England, vol. 4, p. 396; Story's Const. § 1784.

აღარ მოვიყვან ავტორიტეტული პირების შემდგომ ციტატებს, რომლებიც მრავალრიცხოვანია, იმის დასამტკიცებლად, რომ სამართალწარმოების იმ დადგენილი გამოყენებისა და რეჟიმების მიხედვით, რომლებიც არსებობდა ინგლისის საერთო და სტატუტურ სამართალში ჩვენი წინაპრების ამ ქვეყანაში დასახლების დროს, საჩივრები სიკვდილით დასჯად დანაშაულთან დაკავშირებულ საქმეებში არ შეესაბამებოდა „მინის კანონს“ ან „ჯეროვან სამართლებრივ პროცედურას“. ასეთი იყო იმ პატრიოტი ადამიანების გაგება, რომლებმაც დააარსეს თავისუფალი ინსტიტუტები ამ კონტინენტზე.

„თავისუფლების დიდი ქარტიის“ თითქმის იდენტური სიტყვები იყო ჩართული სახელმწიფო კონსტიტუციების უმეტეს ნაწილში ჩვენი ეროვნული კონსტიტუციის მიღებამდე. როდესაც ისინი ახდენდნენ იმის დეკლარირებას, რომ ფაქტობრივად არავის უნდა წაერთვას სიცოცხლის, თავისუფლების ან საკუთრების უფლება, თუ ეს არ მოხდება მეზობელი ოლქის კოლეგების მიერ გამოტანილი გადანყვეტილების ან „მინის კანონის“ საფუძველზე, მათი განზრახვა იყო დაემტკიცებინათ პირის უფლება იმავე გარანტიებზე, რაც მას მშობლიურ ქვეყანაში ეძლეოდა „დიდი ქარტიის“ და ძირითადი პრინციპების საფუძველზე მიღებული კანონების მიხედვით.

ჩემი კოლეგები აღიარებენ, რომ არსებობს თავისუფლებისა და სამართლიანობის პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს ჩვენს სამოქალაქო და პოლიტიკურ ინსტიტუტებს და რომლებიც არცერთ სახელმწიფოს არ შეუძლია დაარღვიოს იმ



ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის შესაბამისად, რომელიც მოითხოვება მე-
 თოთხმეტე შესწორებით სიცოცხლის, თავისუფლების ან საკუთრების უფლებასთან
 დაკავშირებული საქმისწარმოებისას. ამ პრინციპებიდან ზოგიერთი ჩამოთვლი-
 ლია სასამართლოს გადაწყვეტილებაში. თუმცა, იმ მიზეზების გამო, რომლებსაც
 დამაკმაყოფილებლად არ მივიჩნევ, ისინი ამ ჩამონათვალთან გამორიცხავენ
 საჩივრის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნისგან გათავისუფლებას იმ
 საჯარო ხასიათის დანაშაულისთვის, რომელიც ეხება სიცოცხლეს. რა უფლებამო-
 სილების საფუძველზე ხდება ეს გამორიცხვა? არის თუ არა ეს გამართლებული იმ
 პროცედურის დადგენილი გამოყენებით და რეჟიმით, რომლებიც არსებობდა ინ-
 გლისის საერთო და სტატუტურ სამართალში ჩვენი წინაპრების ემიგრაციისას, ან
 ჩვენი მთავრობის დაარსების დროს? ის ფაქტი, რომ შტატების თავდაპირველმა
 მოსახლეობამ მოითხოვა ეროვნული კონსტიტუციის შესწორება და ამით უზრუნ-
 ველყო სისხლისსამართლებრივი დევნისგან გათავისუფლება სიკვდილით დასჯა-
 დი დანაშაულისათვის, თუ, რა თქმა უნდა, ეს არ ხორციელდებოდა დიდი ყიურის
 საბრალდებო დასკვნის ან ფიცის დადებით გაკეთებული განცხადების საფუძველ-
 ზე, განა არ ამტკიცებს, რომ მათი გადაწყვეტილებით ასეთი განთავისუფლება იყო
 მნიშვნელოვანი ბრალის წაყენებისა და უსაფუძვლო სისხლისსამართლებრივი
 დევნისგან დასაცავად და, შესაბამისად, იყო თავისუფლებისა და სამართლიანობ-
 ის უზრუნველყოფის ძირითადი პრინციპი? ამ გათავისუფლებასთან ერთად, იმავე
 შესწორებაში აღნიშნულია, რომ არავინ უნდა დადგეს საფრთხის წინაშე ერთი და
 იმავე დანაშაულისთვის ორჯერ, არ უნდა გახდეს იძულებული საკუთარი თავი აღი-
 აროს დამნაშავედ, არც მისი კერძო საკუთრება უნდა იქნეს გადაცემული საჯარო
 სარგებლობაში სამართლიანი ანაზღაურების გარეშე. განა ეს პრინციპები ძირითა-
 დი არ არის ყველა იმ თავისუფალ მმართველობაში, რომელიც შექმნილია თავი-
 სუფლებისა და სამართლიანობის შესანარჩუნებლად? თუ ვივარაუდებთ, რომ დამ-
 ცავი იმუნიტეტი სიკვდილით დასჯადი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრი-
 ვი დევნისგან, თუ ეს არ განხორციელდა დიდი ყიურის საბრალდებო დასკვნის ან
 ფიცის დადებით გაკეთებული განცხადების საფუძველზე, საერთო სამართალში
 ითვლებოდა ნაკლებად დაცულად „მინის კანონით“, ან ნაკლებად ღირებულად,
 ან ნაკლებად არსებითად ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურისთვის, ვიდრე
 ზემოთ ჩამოთვლილი პირადი უფლებები და იმუნიტეტები, თავს უფლებას ვაძლევ
 განვაცხადო, რომ ასეთი განსხვავება არ არის დაშვებული არცერთ საქმეში, რო-
 მელზეც გადაწყვეტილება გამოტანილია ინგლისში ან ამ ქვეყანაში ჩვენი კონსტი-
 ტუციის მიღებამდე და არც რომელიმე ავტორს აქვს მოშველიებული ის „თავისუფ-
 ლების დიდი ქარტიით“ დადგენილი პრინციპებისა და იმ სტატუტების საფუძველზე,
 რომლებიც შემდგომში ამოქმედდა „თავისუფლების დიდი ქარტიის“ დებულებების
 განმარტებისა და გავრცობის მიზნით.

თუმცა, აღნიშნულია, რომ კონსტიტუციის შემქმნელებმა არ ივარაუდეს, რომ ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა სიკვდილით დასჯადი დანაშაულისათვის აუცილებლად მოითხოვდა დიდი ჟიურის ინსტიტუტსა და პროცედურას, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმავე შესწორებაში, რომელიც კრძალავდა სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლების ჩამორთმევას ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის გარეშე, ისინი არ შეიმუშავებდნენ კონკრეტულ და ცალსახა დებულებას დიდი ჟიურისთვის იმ საქმეებზე, როდესაც დანაშაული არის სიკვდილით დასჯადი ან სხვაგვარად სამარცხვინო; შესაბამისად, სადავოა, რომ მეთოთხმეტე შესწორების მოთხოვნა ჯეროვან სამართლებრივ პროცედურასთან დაკავშირებით ყველა სამართალწარმოებაში, რომელიც ეხება სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებას ნებისმიერ საქმეში, სადაც კონკრეტულად არ არის ნახსენები დიდი ჟიური, არ იყო განკუთვნილი იმ ძალაუფლებაზე შეზღუდვის დანესებისთვის, რომელსაც, როგორც ამტკიცებენ, შტატები ფლობდნენ ადრე, თუ საუბარია სამართალწარმოებაში დიდი ჟიურის მონაწილეობასთან დაკავშირებით ქვეყნის კონსტიტუციით გათვალისწინებულ მკაფიო შეზღუდვებზე.

ეს არგუმენტი, როგორც ვფიქრობ, გამოიწვევს შედეგებს, რომლებიც არ შეესაბამება რესპუბლიკური ხელისუფლების მნიშვნელოვან პრინციპებს. თუ სიკვდილით დასჯად საქმეებში დიდი ჟიურის საჭიროების შესახებ კონკრეტული დებულების მეხუთე შესწორების არსებობა, „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის“ გამოყენების შესახებ დებულებასთან ერთად, რომლებიც ეხება სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებას, ადასტურებს იმ ფაქტს, რომ „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა“, როგორც კონსტიტუციის შემქმნელები ფიქრობდნენ, აუცილებლად არ მოითხოვს სიკვდილით დასჯადი დანაშაულების საქმეების განხილვაზე დიდი ჟიურის დასწრებას, მტკიცე ლოგიკით ამის მოთხოვნა მაინც იარსებებდა, ასევე, იგივე მეხუთე შესწორების არსებობა თუ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ უფლება, ადამიანის სიცოცხლე ორჯერ არ დადგეს რისკის ქვეშ ერთი და იმავე დანაშაულისთვის და უფლება, რომ სისხლის სამართლის საქმეში ადამიანი არ აიძულონ საკუთარი თავის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება – ის უფლებები და იმუნიტეტები, რომლებიც კონკრეტულად აღიარებულია მეხუთე შესწორებაში – არ იყო დაცული ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურით, რაც მოითხოვებოდა სამართალწარმოების იმ დადგენილი გამოყენებისა და რეჟიმების მიხედვით, რომლებიც არსებობდა ინგლისის საერთო და სტატუტურ სამართალში ჩვენი წინაპრების ამ ქვეყანაში დასახლების დროს. უფრო მეტიც, ამავე დროს შემოთავაზებული კონსტიტუციის სხვა შესწორებებით ცალსახად არის აღიარებული პირთა უფლება სამართლიანი კომპენსაციის მიღებაზე საჯარო სარგებლობაში გადაცემული ვერძო საკუთრებისთვის; დანაშაულში ბრალდებისას მათი უფლება, იყვნენ ინფორმირებულნი მათ წინააღმდეგ ბრალდების ხასიათისა და მიზმის შესახებ და მიიღონ დაჩქარებულ და საჯარო სასამართლო პროცესზე წვდომის უფლება

იმ სახელმწიფოსა და რაიონის მიუკერძოებელი უიურის მიერ, სადაც დანაშაული იქნა ჩადენილი; ასევე, მიიღონ უფლება დაუპირისპირდნენ მათ წინააღმდეგ მოქმედ მოწმეებს და მათ სასარგებლოდ მოიძიონ მოწმეები სავალდებულო პროცესის ფარგლებში. იარსებებს თუ არა პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, ეს უფლებები იყო თუ არა დაცული „მიწის კანონით“ ან „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურით“, როგორც ეს იყო გამოცხადებული და დადგენილი ჩვენი მთავრობის შექმნისთანავე? უნდა გამოირიცხოს თუ არა ისინი თავისუფლებისა და სამართლიანობის ძირითადი პრინციპების ჩამონათვალიდან და, შესაბამისად, „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურიდან“? ჩემი კოლეგების არგუმენტი საფუძვლიანი რომ ყოფილიყო, ეს უფლებები – მიუხედავად იმისა, რომ ისინი საყოველთაოდ აღიარებული იყო ჩვენი ინსტიტუტების დაარსებისას და დაცული იყო ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურით, რომელიც საუკუნეების განმავლობაში იყო ანგლოსაქსური თავისუფლების საფუძველი, ჩვენი წინამორბედების მიერ არ იქნებოდა მიჩნეული არსებითად ჩვენი კონსტიტუციით განერილი ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურების დროს; რადგან – როგორც ჩანს, ასეთია არგუმენტი – ისინი რომ ყოფილიყო მიჩნეული ჩართულად ჯეროვან სამართლებრივ პროცედურებში, არ იქნებოდა კონკრეტულად და ცალსახად გათვალისწინებული, არამედ მათ დაარეგულირებდა სიცოცხლის, თავისუფლების, ან საკუთრების უფლების ჩამორთმევის ამკრძალავი ზოგადი დებულება ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურების გარეშე“. გარდა ამისა, გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილს უდავოდ მივყავართ შემდეგ დასკვნამდე: რომ არა კონსტიტუციაში ჩამოთვლილი პირადი უფლებების დაცვის შესახებ კონკრეტული დებულებები, ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურების გარეშე სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლების ჩამორთმევის საერთო აკრძალვები, კონგრესს ხელს არ შეუშლიდა აემოქმედებინა სტატუტი თითოეული ზემოთ აღნიშნული პირობის საწინააღმდეგოდ.

გარდა ამისა, გადანყვეტილების დოქტრინებიდან გამომდინარეობს – თუ არასწორად არ მესმის მისი ფარგლები – რომ მეთოთხმეტე შესწორების დებულება, რომელიც კრძალავს სიცოცხლის ან თავისუფლების უფლების ჩამორთმევას ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის გარეშე, არ დაირღვეოდა შტატის რეგულაციით, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმეებზე პატარა უიურის აცილებას და სიცოცხლის ხელყოფის დანაშაულში ბრალდებული პირისთვის ერთი მოსამართლის მიერ გასამართლების, ან თუნდაც მომრიგებელი მოსამართლის მიერ გასამართლების უფლების მიცემას იმ პროცედურით, რომლითაც ნათელი იქნება მიზეზი, თუ რატომ არ უნდა მოხდეს მისი ჩამოხრჩობა. ჩემი კოლეგების მიმართ არ იქნება უსამართლობა, თუ ამ გადანყვეტილების პრინციპების ილუსტრირებას ამგვარად მოვახდენ. რთულია, ჩემი აზრით, ამ ქვეყანაში პატარა უიურის სისტემის გადაჭარბებული შეფასება. ბრძენმა სახელმწიფო მოღვაწემ და მოსამართლემ

კარგად აღნიშნა, რომ ის იყო „საზოგადოებრივი და პირადი თავისუფლების საუკეთესო მცველი, რაც კი აქამდე გამოუგონია ადამიანის გონიერებას“ და რომ „თავისუფლება ყოველთვის იქნება დაცული იმ ქვეყანაში, სადაც სასამართლო პროცესი ყველა სისხლისსამართლებრივ დანაშაულზე წარმართება უიურის მიერ“. როგორც ბატონმა მედისონმა შენიშნა, მიუხედავად იმისა, რომ უიურის მიერ წარმართული სასამართლო პროცესი არ შეიძლება ჩაითვალოს ბუნებრივ უფლებად, არამედ საზოგადოებრივი პაქტის შედეგად წარმოშობილ უფლებად, ის მაინც იყო „ისევე არსებითი ადამიანების თავისუფლების უზრუნველსაყოფად, როგორც ნებისმიერი სხვა, ბუნებაში აღრე არსებული უფლება“. 1 Lloyd's Deb. 430. „როდესაც ჩვენი უშუალო წინაპრები“ ამბობს სთორი, „გადავიდნენ ამერიკაში, მათ ეს პრივილეგია თან წაიღეს, როგორც მათი ხელშეუვალი უფლება და მემკვიდრეობა, როგორც ნაწილი იმ შესანიშნავი საერთო სამართლისა, რომელმაც დააწესა ბარიერები და ყველა მხრიდან შექმნა შეზღუდვები თვითნებური ძალაუფლების მიდგომების საწინააღმდეგოდ“.

Story's Const. § 1779. თუმცა, დარწმუნებით ვამბობ, არ არსებობს საფუძველი მოსაზრებისთვის, რომ „თავისუფლების დიდი ქარტიის“ ან საერთო სამართლის მიხედვით, უიურის მიერ გასამართლების უფლება სიკვდილით დასჯადი დანაშაულის საქმეზე უფრო დიდი მნიშვნელობის მქონედ ითვლებოდა ხალხის უსაფრთხოებისა და დაცვისთვის, ვიდრე უფლება უპასუხოდ დატოვებასთან დაკავშირებით, მთავრობის ოფიცრის მიერ წარდგენილ უბრალო საჩივარზე დაყრდნობით სიკვდილით დასჯადი დანაშაულის საქმეში, დიდი უიურის მიერ წინასწარ ჩატარებული გამოკითხვის გარეშე. მაშინ, როცა პირველი იცავს მოქალაქეს არასათანადო გასამართლებისგან, მეორე იცავს მას უსაფუძვლო ბრალდებისგან. შტატის კანონი, რომელიც იძლევა სიკვდილით დასჯად დანაშაულთან დაკავშირებული საქმის განხილვის უფლებას ერთი მოსამართლის, შესაძლოა, ერთი მომრიგებელი მოსამართლის მიერ, – თუ პატარა უიურის არსებობა არ მოითხოვება სიკვდილით დასჯად დანაშაულთან დაკავშირებული საქმის განხილვისთვის თავისუფლებისა და სამართლიანობის ძირითადი პრინციპების მიხედვით – დააკმაყოფილებდა ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის ყველა მოთხოვნას, როგორც მითითებულია სასამართლოს გადანყვეტილებაში; რადგან ასეთი კანონი არ დაადგენდა განსაკუთრებულ წესს კონკრეტული პირებისთვის; ეს იქნებოდა ზოგადი კანონი, რომელიც ისმენს, ვიდრე განსჯის, რომელიც მოქმედებს გამოძიების საფუძველზე და გადანყვეტილება გამოაქვს მხოლოდ სასამართლო პროცესის შემდეგ; იგი გათვალისწინებული იქნებოდა სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, როდესაც ის აცხადებს, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ აღსრულებული ყოველი სამართალწარმოება, იქნება ეს სანქციონირებული საუკუნეებითა და ჩვეულებით, თუ ახლად შემუშავებული, საკანონმდებლო ორგანოს შეხედულებისამებრ, ზოგადი საზოგადოებრივი სიკეთის ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც პატივს სცემს და იც-

ავს თავისუფლებისა და სამართლიანობის ამ პრინციპებს, აღიარებული უნდა იქნეს, როგორც ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა.

ჩემი აზრით, ზედმეტად არის ყურადღება გამახვილებული იმ ფაქტზე, რომ კონსტიტუციის შემქმნელებმა შეიმუშავეს ცალსახა დებულება იმ უფლებების დაცვის შესახებ, რომლებიც, საერთო სამართლის მიხედვით, დაცული იყო ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურების მოთხოვნებით და, გარდა ამისა, მათში ზოგადად გადმოცემული იყო, რომ არცერთ პირს არ უნდა ჩამოერთვას „სიცოცხლის, თავისუფლების ან საკუთრების უფლება ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურების გარეშე“. უფლებები, რომლებთან მიმართებითაც ეს ცალსახა დებულებები იქნა მიღებული, იმდენად არსებითი იყო ხალხის უსაფრთხოებისთვის, რომ მიზანშეწონილად მიიჩნიეს თავიდან აეცილებინათ შესაძლებლობა, რომ კონგრესს, სამართლებრივი პროცედურების რეგულირებისას, შესაძლოა შეეღობა ან გაენადგურებინა ისინი. აქედან გამომდინარე, მათი კონკრეტული ჩამონათვალი კონსტიტუციის წინა შესწორებებში, ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის ზოგად მოთხოვნებთან დაკავშირებით, სადაც ეს მოთხოვნები იმდენად ფართოა, რომ მოიცავს სიცოცხლის, თავისუფლების ან საკუთრების ყველა უფლებას, რომლებიც დაცულია სამართალწარმოების იმ დადგენილ გამოყენებასა და რეჟიმებში, რომლებიც არსებობდა ინგლისის საერთო და სტატუტურ სამართალში ჩვენი მთავრობის დაარსებამდე. Pomeroy's Municipal Law, 366, 372.

ამ შეხედულებებს, რომელთა გამოხატვასაც მე შევეცადე, მხარს უჭერს მასაჩუსეტსის უზენაესი სასამართლო საქმეში *Jones v. Robbins*, 8 Gray 329, განმეორებით დადასტურებულია საქმეში *Nolan's Case*, 122 Mass. 330, 332 და საქმეში *Commonwealth v. Honeman*, 12 Mass. 40. წარმოდგენილ საკითხებს შორის იყო საკითხი, მასაჩუსეტსის სტატუტი, რომელიც აძლევდა ერთ მაგისტრატს უფლებამოსილებას განეხილა დანაშაული, რომელიც ისჯებოდა თავისუფლების აღკვეთით შტატის ციხეში, დიდი ყიურის საბრალდებო დასკვნის გარეშე, არღვევდა თუ არა შტატის კონსტიტუციის იმ დებულებას, რომელიც აცხადებდა, რომ „არავინ უნდა დააპატიმრონ, არავის უნდა აღუკვეთონ თავისუფლება, არავინ უნდა გადაასახლონ ან არავის უნდა ჩამოართვან სიცოცხლის, თავისუფლების ან საკუთრების უფლება, თუ არ არსებობს მეზობელი ოლქის თანასწორი კოლეგების მიერ გამოტანილი გადანწყვეტილება ან თუ ეს არ არის დარეგულირებული „მიწის კანონით“.

მიიჩნიეს, რომ ასე იყო.

„ეს დებულება, მთელი მისი სტრუქტურით,“ განაცხადა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე შოუმ, სასამართლოს სახელით საუბრისას, „იმდენად აშკარად ემთხვევა „თავისუფლების დიდი ქარტიის სიტყვებს“, რომ ჩვენ არ უნდა მივიჩნიოთ ის ახლად გამოგონილ ფრაზად, რომელიც პირველად გამოიყენეს ჩვენი კონსტიტუ-

ციის შემქმნელებმა, არამედ უნდა შევხედოთ მას, როგორც კერძო უფლების დაცვის ერთ-ერთ უდიდეს გარანტიას, რომელიც გადმოგვეცა იმ თავისუფლებებსა და პრივილეგიებს შორის, რომლებითაც ჩვენი წინაპრები სარგებლობდნენ ემიგრაციის დროს და აცხადებდნენ, რომ ჰქონდათ და ინარჩუნებდნენ მას, როგორც ხელშეუვალ უფლებას.

ვფიქრობთ, ეს ტერმინები, ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მათი ყველაზე გაბედული და პირდაპირი მნიშვნელობით, როგორც „მინის კანონი,“ სასამართლო პროცესის დროს, რადგან კანონები შეიძლება დროდადრო ყალიბდებოდეს და იცვლებოდეს საკანონმდებლო ორგანოს მიერ და ასეთი დებულება, რომელიც მიზნად ისახავს აკრძალოს ნებისმიერი კანონის მიღება, რომელიც არღვევს სუბიექტის უძველეს უფლებებსა და თავისუფლებებს, ასეთი კონსტიტუციით იქნება სრულიად ძალადაკარგული და ბათილი. საკანონმდებლო ორგანომ შეიძლება უბრალოდ შეცვალოს კანონი სტატუტით და ამგვარად მოხსნას ის ნიში და ბარიერი, რომლის შექმნასაც მიზნად ისახავს „უფლებათა ბილის“ ეს დებულება. შესაბამისად, შესაძლებელია ნაგულისხმევი ყოფილიყო უძველესი დამკვიდრებული კანონი და სამართალწარმოების პროცესი, რომელთა დაცვით, ჩვენი წინაპრები ინგლისში, აქ გადმოსახლებამდე, და თავად ემიგრანტები და მათი შთამომავლები, პოულობდნენ პირადი უფლებების დაცვის შესაძლებლობას“.

აღიარებს რა, რომ „მინის კანონს“ „თავისუფლების დიდ ქარტიაში“ და მასაჩუსეტისის კონსტიტუციაში იგივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც „ჯეროვან სამართლებრივ პროცედურას“ და ამბობს რა, რომ თავდაპირველი შტატების ხალხი მათი სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებების უკეთესი დაცვისთვის აუცილებლად მიიჩნევდა მათ კონსტიტუციებში თავისუფალი მმართველობის ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბებას და აღიარებას, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე შოუ აღნიშნავს:

„სახელმწიფო კონსტიტუციების უმეტესობა შეიცავდა ამ ტიპის განცხადებას, მეტნაკლებად დეტალურად და მკაფიოდ, თუმცა ზოგად მიზანს მაინც წარმოადგენდა ინგლისის ყოველი ქვეშევრდომის დიადი უფლებების დაცვა და შენარჩუნება ისე, როგორც დაცული იყო ძველი კანონებით, და ამ კანონებით გათვალისწინებული სამოქალაქო უფლებებით ფაქტობრივი სარგებლობა. „ამერიკის განწყობა იყო“, ამბობს კანცლერი კენტი“,

„უფრო სარწმუნოდ და უფრო ცალსახად და მკაფიოდ გამოცხადებული ყველა-სათვის კარგად ნაცნობ უფლებათა დეკლარაციაში, რომელიც მოცემული იყო 1774 წლის ოქტომბრის პირველ კონტინენტურ უფლებათა ბილში და რომელიც იყო წარმომადგენლობითი ხასიათის ყველა შტატისთვის, ჯორჯიის შტატის გარდა. ეს დეკლარაცია შეიცავდა ამერიკის თავისუფლების რამდენიმე უდიდეს და ძირი-

თად პრინციპს და იგი წარმოადგენდა იმ უფლებათა შემდგომი ბილის საფუძველს, რომლებიც, სხვადასხვა მოდიფიკაციით, გავრცელდა ჩვენს ყველა კონსტიტუციურ ქარტიაში“.

„2 Kent 5, 6“.

„ცალკეული მოქალაქის უფლება, იყოს დაცული ღია და საჯარო ბრალდებისგან და საჯარო სასამართლო პროცესით გამოწვეული უსიამოვნების, ხარჯებისა და შფოთვისგან მანამ, სანამ დიდი ჟიურის ფიცის დადებით გაკეთებული განცხადების და საბრალდებო დასკვნის საფუძველზე მძიმე დანაშაულების საქმეებში არ დადგინდება საფუძვლიანი ეჭვი დანაშაულის ჩადენისა, სამართლიანად მიიჩნევა უდანაშაულო ადამიანების დაცვის ერთ-ერთ მექანიზმად ნაჩქარევი, ავბრახული და მჩაგვრელი საჯარო დევნის წინააღმდეგ, ასევე ინგლისის თავისუფლების იმუნიტეტისა და პრივილეგიის ერთ-ერთ უძველეს ფორმად.

კანცლერი კენტი, მიუთითებს რა პერსონალური უსაფრთხოების უფლებებზე, რომლებიც დაცულია კონსტიტუციური დებულებებით და რომლებიც გადმოტანილ იქნა ამ ქვეყნის კონსტიტუციებში „თავისუფლების დიდი ქარტიიდან“ და ინგლისის პარლამენტის სხვა ძირითადი აქტებიდან, ამბობს:

ხოლო იქ, სადაც ცალსახა კონსტიტუციური დებულებები ამ საკითხთან დაკავშირებით არ არის საკმარისი, იმავე პრინციპებს, ალბათ, ამტკიცებს განმარტებითი საკანონმდებლო აქტები და ისინი უნდა განიხილებოდეს, როგორც ძირითადი დოქტრინები ყველა შტატში, რადგან კოლონიები 1774 წელს იყვნენ უფლებათა შესახებ ეროვნული დეკლარაციის მხარეები, სადაც ჟიურის მიერ სასამართლო პროცესის წარმართვის უფლება და ინგლისის ქვეშევრდომის სხვა უფლებები და თავისუფლებები განიხილებოდა, როგორც დაბადებითა და მემკვიდრეობით მინიჭებული მათი უდავო უფლება. ეს შეიძლება იყოს მიღებული, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით საყოველთაოდ გაგებული და აღიარებული მტკიცება, რომ არცერთი პირი არ შეიძლება იყოს დაკავებული ან დაპატიმრებული, ან არცერთ პირს არ შეიძლება ჩამოერთვას თავისუფლება ან საკუთრება, ან, რომ დაუშვებელია პირის გადასახლება ან გასამართლება, ან მისთვის სიცოცხლის, თავისუფლების ან საკუთრების უფლების ჩამორთმევა, თუ ეს „მინის კანონით“ არ არის დადგენილი ან საამისო გადანყვეტილება არ არის გამოტანილი მეზობელი ოლქის თანასწორი კოლეგების მიერ. სიტყვები „*მინის კანონით*“, როგორც თავდაპირველად გამოიყენებოდა „თავისუფლების დიდ ქარტიაში“ ამ საკითხთან მიმართებით, გაგებულია, როგორც ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა – ანუ, კეთილსინდისიერი და სამართლიანი ადამიანების მიერ გამოცემული საბრალდებო დასკვნა ან ფიცის დადებით გაკეთებული განცხადება, და ეს, ამბობს ლორდ კოკი, არის ამ სიტყვების ჭეშმარიტი აზრი და გამოხატულება“.

ხოლო, კენტი უმაღლვე უმატებს:

„ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის უკეთესი და ფართო განმარტება არის ის, რომ ის გულისხმობს მართლმსაჯულების განხორციელების ჩვეულებრივ პროცესს მართლმსაჯულების სასამართლოების მეშვეობით“.

ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის ამ ზოგადი განმარტების გამო, ის გამორჩეული მოსამართლე, როგორც ჩანს, მიიჩნევა ავტორიტეტად წინამდებარე გადანყვეტილების კონტექსტში. როდესაც ლორდ კოკმა აღნიშნა, რომ საბრალდებო დასკვნა ან ფიცის დადებით გაკეთებული განცხადება იყო ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა, მან, რა თქმა უნდა, მიუთითა იმ საქმეების სამართალწარმოებაზე, რომლებშიც, „მინის კანონით“ მოითხოვებოდა ასეთი პროცედურა. „თავისუფლების დიდ ქარტიასთან“ დაკავშირებულ არცერთ კომენტარში არ არის იმაზე ნათლად განმარტებული, ვიდრე კოკის კომენტარში, რომ საჩივრები გარკვეულ საქმეებში შეესაბამებოდა „მინის კანონს“ და არავის გაუკეთებია უფრო დამატებითი განცხადება იმის შესახებ, რომ სიკვდილით დასჯად დანაშაულთან დაკავშირებულ საქმეებში საჩივრები ამ კანონით არ დაიშვებოდა და, შესაბამისად, ეს საჩივრები არ იყო ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის ნაწილი. მან მოიხსენია ფიცის დადებით გაკეთებული განცხადებები ან საბრალდებო დასკვნები იმის საილუსტრაციოდ, თუ რა იყო ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა უფრო მძიმე დანაშაულში ბრალდებულ პირთა სისხლისსამართლებრივი დევნისას და არა იმ მიზნით, რომ უფრო სრულყოფილად განემარტა ფრაზა „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა“ როგორც სამოქალაქო, ისე სისხლის სამართლის საქმეებში. „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის“ კენტისეული ახსნა, შესაბამისად, უკეთესი და ფართო განმარტება იყო, რადგან ის მოიცავდა სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, *in rem* და *in personam*, და სამართალწარმოებას, რომელიც ეხებოდა „მინის კანონით“ გარანტირებულ ყველა უფლებას, იქნებოდა ეს სიცოცხლის, თავისუფლების თუ საკუთრების უფლება. მას სულაც არ უთქვამს, რომ ყოველი საქმისწარმოება, რომელიც მოიცავს სასამართლო პროცესის ახალ მეთოდებს, იყო ის ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურა, რომელიც ასეთად იყო გამოცხადებული საკანონმდებლო ორგანოს მიერ, ან იმიტომ, რომ ის შეიძლება იყოს რეგულარული იმ თვალსაზრისით, რომ იგი დადგენილია ზოგადი სტატუტური სამართლით.

სასამართლოს მიხედვით, შეერთებული შტატების კონსტიტუცია შეიქმნა განუსაზღვრელი ვადით და შორეული პერსპექტივისთვის და რომ მისი მოთხოვნა ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის მიმართ, რომელიც ეხება სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებას, ისე უნდა განიმარტოს, რომ არ მოხდეს კანონისთვის პროგრესისა და გაუმჯობესების შესაძლებლობის უარყოფა; რომ სამართლიანობის ძირითადი პრინციპების უდიდესი გარანტია გამოიხატება ხალხის

უფლებებში, შექმნან საკუთარი კანონები და შეცვალონ ისინი სურვილის შესაბამისად. თუმცა, რთულია რაიმეს აღქმა სისტემაში, სადაც ადამიანები სისხლისსამართლებრივად იღვენებიან საჩივრის საფუძველზე, რომლის მიხედვით შტატი, რომელიც ასეთ სისტემას იღებს, შევიდა სისხლის სამართლის საპროცესო სამართლის პროგრესისა და გაუმჯობესების ეპოქაში. სტატუტი H. 7, c. 3, რომლითაც დაშვებულია საჩივრები და „რომლის მიხედვითაც ემპსონმა და დადლიმ და ვარსკვლავიანმა პალატამ, სამართალწარმოება ათასობით ტირანულ ფორმად გადააქციეს, „ცალსახად აცხადებდა, რომ ეს არ უნდა გავრცელდეს „სახელმწიფო დალატზე, მკვლევლობასა თუ მძიმე დანაშაულზე, ან ნებისმიერ სხვა დანაშაულზე, რისთვისაც პირმა ან მის წევრმა სიცოცხლე უნდა დაკარგოს.“ თუმცა, იმდენად დიდი იყო ამ ადამიანების მიერ ჩადენილი კანონდარღვევა, რომ ეს სტატუტი გაუქმდა სტატუტით 1 H. 8, c. 6. შესაბამისი ადგილობრივი სტატუტების თანახმად, შესაბამისი ოლქის საოლქო პროკურორიც კი მოკლებულია ყოველგვარ დისკრეციას, რადგან თუ მაგისტრატის გადანყვეტილებით, რომლის წინაშეც ბრალდებული წარადგინეს – და ზოგადად მხოლოდ ის არის მშვიდობის მოსამართლე – ჩადენილია საჯარო ხასიათის დანაშაული, საოლქო პროკურორის მოვალეობაა საჩივრის საფუძველზე მის წინააღმდეგ აღძრას სამართალწარმოება იმ დანაშაულისთვის, რომელიც მითითებულია საქმის განმხილველი მაგისტრატის მიერ. ამრიგად, კალიფორნიაში არაფერი დგას მოქალაქესა და მის სისხლისსამართლებრივ დევნას შორის, გარდა მშვიდობის მოსამართლის გადანყვეტილებისა. ასეთი სისტემა რომ გაბატონებულიყო ინგლისში ყველა სახის საჯარო ხასიათის დანაშაულთან მიმართებით, ის პატრიოტები, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ჩვენს მთავრობას, ასე დაუინებით არ დაამტკიცებდნენ, რომ კოლონისტების მემკვიდრეობას წარმოადგენდა ის ინსტიტუტები და გარანტიები, რომლებიც ჩამოყალიბდა სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებების დაცვის ძირითადი კანონმდებლობის საფუძველზე. ნიუ-იორკის სამეფო გუბერნატორს არ ექნებოდა შესაძლებლობა, 1697 წელს მიენერა ადგილობრივი მთავრობისთვის, რომ პროვინციული საკანონმდებლო ორგანოს წევრებისთვის უმჯობესი იყო „ინგლისელებისა და „თავისუფლების დიდი ქარტიის“ პრივილეგიები“. 3 Bancroft 56. არც 1774 წელს გამართულ კოლონიების კონგრესზე, რომელზეც იყო საუბარი თორმეტი კოლონიის ხალხის სახელით, არ დაშვებულა, როგორც ეს ადრე ხორციელდებოდა, გამოქვეყნებულიყო მათი საქმისწარმოების შესახებ უურნალი მედალიონით მთავარ გვერდზე, რომელიც „თავისუფლების დიდ ქარტიას“ წარმოადგენდა, როგორც კვარცხლბეკს, სადაც მოხდა თავისუფლების სვეტის აღმართვა, რომელიც თორმეტ ხელს ეყრდნობოდა და შეიცავდა წარწერას „*Hanc Tuemur, Hac Nitimur*“ („ჩვენ ვიცავთ, ის გვიცავს“).

Hurd on Habeas Corpus 108. ანგლოსაქსური თავისუფლება, ალბათ, ჩვენი კონსტიტუციის მიღებამდე დიდი ხნით ადრე მოისპობოდა, მთავრობის უფლებამოსილება რომ ყოფილიყო სუბიექტის პასუხისგებაში მიცემა და სამუდამო პატიმრობის მის-

ჯა, თუ გვირგვინის ოფიცრების ნებით თანამდებობაზე მყოფი მომრიგებელი მოსამართლე დაადასტურებდა, რომ მან ჩაიდინა სიკვდილით დასჯადი დანაშაული. ის, რომ ზოგიერთ შტატში ასეთი ოფიცრები არჩეულნი არიან ხალხის მიერ, არ უზრუნველყოფს მოქალაქის დაცვას, რადგან დიდი უიურის სისტემის ერთ-ერთი განსაკუთრებული უპირატესობა, რომელიც არსებობს ამ ქვეყანაში და ინგლისში, არის ის, რომ ის შედგება, როგორც წესი, იმ კერძო პირების გაერთიანებისგან, რომლებიც არ იკავებენ თანამდებობას მთავრობის ნებით ან ამომრჩეველთა ნებით. ბევრ, თუ არა ყველა შტატში, სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება არ აქვს დაიკავოს ადგილი დიდი უიურის წევრებს შორის. დიდი უიურის საიდუმლო გამოძიებაში სუსტებმა და უმწიფობებმა – განდევნილებმა, შესაძლოა, მათი რასის გამო, ან უსაფუძვლო სახალხო აჟიოტაჟის გამო – აღმოაჩინეს და განაგრძობენ იმის აღმოჩენას, რომ არსებობს დაცვა ოფიციალური ჩაგვრისგან, ბრბოს სისასტიკისგან, სიცრუის მექანიციებისგან და კერძო პირთა არაკეთილმოსურნეობისგან, რომლებიც გამოიყენებდნენ კანონის მექანიზმს თავიანთი პირადი მტრების დასამარცხებლად. „დიდი უიურის წევრები ასრულებენ, – ამბობს სთორი, – ყველაზე მნიშვნელოვან ოფიციალურ ფუნქციებს და მოქალაქეებისთვის წარმოადგენენ საიმედო დაცვას შურისმაძიებლური სისხლისსამართლებრივი დევნის წინააღმდეგ როგორც მთავრობის, ისე პოლიტიკური პარტიების აქტივისტების, ან პირადი მტრების მხრიდან“.

Story's Const. § 185.

ამ სისტემის საჭიროებისა და ღირებულების სადემონსტრაციოდ უკვე მოყვანილ მტკიცებულებებს შემოძლია დავამატო მოსამართლის, ბ-ნი უილსონის ჩვენება, რომელიც იყო ამ სასამართლოს ყოფილი მოსამართლე და ერთ-ერთი უმთავრესი ადამიანი, რომელიც ემსახურებოდა კონსტიტუციურ მმართველობას. მან განაცხადა, რომ „ყველა გეგმასა და დაწესებულებას შორის, რომელიც შეიქმნა სისხლის სამართლის კანონმდებლობის გონივრული და ერთგვაროვანი აღსრულების უზრუნველსაყოფად, ყველაზე გამორჩეული ადგილი უჭირავს დიდი უიურის ინსტიტუტს. ეს ინსტიტუტი, ყოველ შემთხვევაში, ახლანდელ დროში, არის ის, რაც განსაკუთრებულად საამაყო საერთო სამართალში. მისი დაწყების ეპოქა და მის თანდათანობით პროგრესსა და გაუმჯობესებასთან დაკავშირებული თავისებურებები იმალება ძალიან შორეული წარსულის სქელი ფარდის მიღმა. მაგრამ ერთი რამ, რაც მას ეხება, ცხადია. მსოფლიოს მათიანეში არ არსებობს სხვა ინსტიტუტი, რომელიც ასე კარგად არის მორგებული სქემაზე, რომლითაც ხდება ყველა შემანუხებელი ფაქტორის და შეურაცხყოფის თავიდან აცილება, რომელიც სხვაგვარად წარმოიქმნებოდა ღვარძლიანობის, სიმკაცრის, დაუდევრობის შედეგად ან დანაშაულებისთვის სისხლისსამართლებრივი დევნის დროს მიკერძობის შედეგად“.

3 Wilson's Works, 363.

მოსამართლე ფილდმა, მიუთითა რა ინგლისში დიდი უიურის სისტემის უძველეს წარმოშობაზე, თქვა, „ამ ქვეყანაში დასახლების დროს, საჩივრის აღმძრავი და ბრალმდებელი ტრიბუნალის წინა საჩივრის გარეშე დანაშაულში ბრალდებული არცერთი პირი არ შეიძლებოდა მიცემულიყო მის წინაშე პასუხისგებაში, გარდა გარკვეული განსაკუთრებული შემთხვევებისა. და იმ ბრძოლაში, რომელიც დრო-დადრო ინგლისში იჩენდა ხოლმე თავს მეფის უფლებამოსილებებსა და სუბიექტის უფლებებს შორის, ის ხშირად იღვა როგორც ბარიერი მისი სახელით სისხლისსამართლებრივი დევნის წინააღმდეგ, სანამ, საბოლოო ჯამში, მიჩნეულ არ იქნა, რომ ეს არის ინსტიტუტი, რომლის საშუალებითაც უზრუნველყოფილი იყო სუბიექტის დაცვა გვირგვინის ოფიცრების მიერ უსაფუძვლო დევნით გამოწვეული ჩაგვრისგან. ამ ქვეყანაში, ჩვენი ინსტიტუტების პოპულარული ხასიათის გამო, იშვიათად ყოფილა რაიმე დაპირისპირება ხელისუფლებასა და მოქალაქეს შორის, რომელიც მოითხოვდა დიდი უიურის არსებობას, რომელიც ხალხს დაიცავდა ხელისუფლების მჩაგვრელი ქმედებებისგან. მიუხედავად ამისა, ინსტიტუტი მიღებულ იქნა ამ ქვეყანაში და მისი არსებობა გრძელდება ისეთი მოსაზრებების საფუძველზე, რომლებიც მსგავსია იმ მოსაზრებებისა, რომლებიც მას ანიჭებს მთავარ მნიშვნელობას ინგლისში და შექმნილია როგორც საშუალება არა მხოლოდ საჯარო ხასიათის დანაშაულში ბრალდებული პირების გასამართლებისთვის სამართლიან საფუძველებზე, არამედ როგორც მოქალაქის დაცვის საშუალება უსაფუძვლო ბრალდებებისგან, იქნება ეს ხელისუფლების მხრიდან, თუ პარტიული ვნებათა ღელვით, ან პირადი უმწეობით გამოწვეული“.

2 Sawyer 668-669. მან მოახდინა ციტირება გამორჩეული მოსამართლის შენიშვნებისა იმის შესახებ, რომ „დედამინის თითოეულ ნაწილში, სადაც ანგლო-საქსონური რასა ქმნიდა საკუთარ დასახლებას, მას თან მიჰქონდა ეს დამსახურებული და დროში გამოცდილი ინსტიტუტი, რომელსაც ყოველთვის ქედისმოხრით ეპყრობოდა და მის მარადისობას სამოქალაქო თავისუფლების მარადიულობას უკავშირებდა“.

„თავის დამოუკიდებელ სარჩელებში, – განაცხადა იმავე მოსამართლემ, – „დევნის სუბიექტებმა იპოვეს ყველაზე უშიშარი დამცველები და მათი ქმედებების შესახებ ჩანაწერებში უნდა გამოიკვეთოს ყველაზე კეთილშობილური პოზიციები ძალაუფლების მხრიდან ჩაგვრის, ღვარძლიანობის და ცრურწმენების ზღვარგადასულობის წინააღმდეგ“.

როგორც ვნახეთ, საუკუნეების განმავლობაში, ჩვენი ამჟამინდელი კონსტიტუციის მიღებამდე, ჯეროვანმა სამართლებრივმა პროცედურამ, „თავისუფლების დიდი ქარტიისა“ და საერთო სამართლის სამართლებრივი პრინციპებიდან გამომდინარე – ძალაუფლების კონსტიტუციური მინიჭების განმმართველი პირები – რაც ბრიტანეთის პარლამენტმაც კი, ყველა მისი ავტორიტეტის მიუხედავად, სამართლიანად

ვერ უგულებელყო, Cooley's Const.Lim. 175, კატეგორიულად აკრძალა ის პირობა, რომ ნებისმიერ ადამიანს მოეთხოვება, პასუხი აგოს თავისი სიცოცხლით, თუ ეს არ მომდინარეობს დიდი უიურის საბრალდებო დასკვნის ან ფიცის დადებით გაკეთებული განცხადების შედეგად. ასევე ვნახეთ, რომ თავდაპირველი შტატების ხალხმა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვნად მიიჩნია ამ პრინციპის ჩართვა ჩვენს კონსტიტუციაში არაჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის ყველა სამართალწარმოებაში მოთხოვნით, რომელიც ეხება სიცოცხლის, თავისუფლების ან საკუთრების უფლებას, არამედ კონკრეტული და ცალსახა დებულებით, რაც უზრუნველყოფს სისხლისსამართლებრივი დევნისგან დაცვას სიკვდილით დასჯადი დანაშაულის საქმეში, გარდა პროცედურის იმ რეჟიმის გამოყენებისა.

ამ მოსაზრებებს შეიძლება დაემატოს სხვა, ძალიან დიდი მნიშვნელობის მქონე მოსაზრებები. როდესაც მიღებულ იქნა მეთოთხმეტე შესწორება, კავშირის ყველა შტატმა, ზოგიერთმა პირობითად, ყველამ კი – არსებითად, თავის კონსტიტუციებში განაცხადა, რომ არცერთ ადამიანს არ უნდა ჩამოერთვას სიცოცხლის, თავისუფლების ან საკუთრების უფლება, თუ ამაზე არ არსებობს მეზობელი ოლქის თანასწორი კოლეგების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ან ამას არ ითვალისწინებს „მიწის კანონი“, ან არცერთ ადამიანს არ უნდა ჩამოერთვას სიცოცხლის, თავისუფლების ან საკუთრების უფლება „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურების“ გარეშე. როდესაც ეს შესწორება მიიღეს, თითოეული შტატის კონსტიტუცია, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, შეიცავდა და ახლაც შეიცავს, „უფლებათა ბილს“, რომელშიც ჩამოთვლილია სიცოცხლის, თავისუფლებისა და საკუთრების უფლებები, რომლებიც არ შეიძლება დაირღვეს ან რომლებსაც არ შეიძლება ზიანი მიადგეს საკანონმდებლო დეპარტამენტის მიერ. ზოგიერთ მათგანში, ისევე როგორც პენსილვანიის, ვენტუკის, ოჰაიოს, ალაბამას, ილინოისის, არკანზასის, ფლორიდის, მისისიპის, მისურისა და ჩრდილოეთ კაროლინას კონსტიტუციებში, ასე ჩამოთვლილ უფლებებში გათვალისწინებული იყო „თავისუფლებისა და თავისუფალი ხელისუფლების საერთო, დიადი და არსებითი პრინციპები“; სხვებში, როგორც კონფიტიკუტის კონსტიტუციაში, 1818 წელს და კანზასის კონსტიტუციაში, 1857 წელს, გათვალისწინებული იყო „თავისუფალი მმართველობის დიადი და არსებითი პრინციპები“. ამ განხილვისას მომენტალური ინტერესის საგნად გადაიქცა ის ფაქტი, რომ როდესაც მეთოთხმეტე შესწორება იქნა წარდგენილი და მიღებული, „უფლებათა ბილი“ და ოცდაშვიდი შტატის კონსტიტუციები ცალსახად კრძალავდნენ სისხლისსამართლებრივ დევნას საჩივრის საფუძველზე, სიკვდილით დასჯად დანაშაულებთან დაკავშირებულ საქმეებში; * ხოლო დანარჩენ ათ შტატში ეს სავარაუდოდ იკრძალებოდა ზოგადი დებულებით, რომლის მიხედვით, არცერთ ადამიანს არ უნდა ჩამოერთვას სიცოცხლის უფლება, თუ ამაზე არ არსებობს მეზობელი ოლქის თანასწორი კოლეგების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ან ამას არ ითვალისწინებს „მიწის კანონი“, ან არცერთ ადამიანს არ უნდა ჩამოერთვას სიცოცხლის



უფლება „ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურების გარეშე.“^{***} თავისუფლად შეიძლება იმის მტკიცება, რომ, როდესაც ეს შესწორება მიიღეს, საჩივრის საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნა სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებული დანაშაულისთვის არ იყო ნებადართული კავშირის შემადგენელ რომელიმე შტატში. ამგვარად, სასამართლო ამ შემთხვევაში აღიარებს რა, რომ ჯეროვანი სამართლებრივი პროცედურის მოთხოვნა იცავს თავისუფლებისა და სამართლიანობის ძირითად პრინციპებს, ფაქტობრივად, ასკვნის, რომ იმუნიტეტი ან უფლება, რომელიც საერთო სამართალში აღიარებულ იქნა იმ პირადი უსაფრთხოებისთვის აუცილებელ პირობად, რომელსაც ჩვენი ქვეყნის კონსტიტუცია თავგამოდებით იცავს ცენტრალური მთავრობის ფარგლებში უფლებამოსილების განმახორციელებელი ტრიბუნალის ან ორგანოს მხრიდან დარღვევებისგან, ასევე რომელიც პირდაპირ ან ირიბად აღიარებულ იქნა, როდესაც კავშირის ყველა შტატის „უფლებათა ბილში“ ან კონსტიტუციაში შევიდა მეთოთხმეტე შესწორება, ახლად შექმნილი მთავრობებისთვის მაინც არ წარმოადგენს ძირითად პრინციპს, როგორც კავშირში შემავალი შტატებისთვის, პრინციპს, რომელიც ითვალისწინებს მოქალაქისთვის თავისუფლებისა და სამართლიანობის უზრუნველყოფას და, შესაბამისად, ეს იმუნიტეტი ან უფლება არ არის გათვალისწინებული ჯეროვან სამართლებრივ პროცედურაში, რომელიც აუცილებელია შტატის ნებართვით წარმოებული სასამართლო პროცესებისთვის. ჩემი მოვალეობის გრძნობა იძულებულს მხდის, არ დავეთანხმო მინის უზენაესი კანონის ამ განმარტებას:

მოსამართლე ფილდმა არ მიიღო მონაწილეობა ამ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანაში.

* Ala. 1867, Art. 1, 10; Ark., 1868, Art. 1, § 9; Cal., 184, Art. 1, § 8; Conn, 1818, Art., 1, § 9; Del., 1831, Art. 1, § 8; Flor, 1868, Art. 1, § 9; Ill., 1848, Art. 13, § 10; Iowa, 1857, Art. 1, § 11; Ky., 1850, Art. 13, § 13; Me., 1820, Art. 1, § 7; Mass. 1780, Pt. 1, Art. 12, as contained in Jones v. Robbins, 8 Gray 32; Minn., 1857, Art. 1, § 7; Miss., 1868, Art. 1, § 31; Mo. 1865, Art. 1, § 24; Nebraska, 1866-7, Art. 1, § 8; Nev., 1864, Art. 1, § 8; N.J. 1844, Art. 1, § 9; N.Y.1846, Art. 1, § 6; N.C. 1868, Art. 1, § 12; Ohio, Art. 1, § 10; Penn., 1838, Art. 9, § 10; R.I., 1842, Art. 1, § 7; S.C.1868, Art. 1, § 19; Tenn., 1834, Art. 1, § 14; Tex, 1868 Art. 1, § 8; W.Va. 1861-1863, Art. 2, § 1; Wis., 1848, Art. 1, § 8.** Geo., 1868, Art. 1, § 3; Ind., Art. 1, § 12; Kansas, 1859, Bill of Rights, § 18; La.1868, Telle.1, Art. 10; Md.1867, Declaration of Rights, Art. 23; Mich. 1850, Art. 6, § 32; N.H.1792, Pt. 1, Art. 15; Oregon, 1857, Art. 1, § 10; Vt., 1793, Chap.1, Art. 10; Va. 1850, Bill of Rights, Art. 8.